# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 მარტი 2004 №48 (2067) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლოდ სორელს ქართველი შვილიშვილები უნდა




კლოდ სორელი თბილისშია. ბუნებრივია, მარტო საქართველო — რუსეთის მატჩის სანახავად და ქართული ღვინის გემოს გასახსენებლად არ ჩამოვიდოდა. სორელს იქ, სადაც ხუთი წელი მუშაობდა და მსოფლიოს თასის შემდეგ არ ყოფილა, საქმიანი ნიადაგის მოსინჯვა სურს. გუშინ „ლოკომოტივის" საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა და მოქმედმა დიდმოხელეებმა ახალ პროექტებზე ჩამოაგდეს სიტყვა. სორელი აღარაა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი და ამ პოსტზე დაბრუნების სურვილი არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ მან ითხოვა შვიდკაცა ნაკრების თავკაცის ვაკანტური ადგილი. ჩამაბარეთ 15-16 წლის ბიჭები და მე ამ გუნდით 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გასახელებთ — ასეთია მუსიე კლოდის წინადადების დედააზრი. შვიდკაცა რაგბის სავარაუდოდ 2012 წლის ოლიმპიადაზე დაუშვებენ.

სორელს და მასთან ერთად ჩამოსულ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს სხვა გეგმა-პროექტებიც დაუსახავთ, რაზეც უფრო წვრილად მე-13 გვერდზე იხილეთ.

# დინამომ ბასკოს კმარა გაუკეთა



თბილისში წაგებული დრაჟენ ბრაიკოვიჩი ბათუმში მეორე მოადგილემ არ შეარცხვინა

„დინამო" დროულად გამოერკვა, თასის გათამაშების მეორე ეტაპის ბოლო ტურში მასპინძელი „ბასკო" დაამარცხა და თასის ფინალში გავიდა. ის, რასაც სამი თამაში ვერ ახერხებდა დრაჟენ ბრაიკოვიჩი, შეძლო მისმა მეორე მოადგილემ დავით უსტიაშვილმა. შემადგენლობით ძლიერ ჩემპიონს ეჭვქვეშ არ დაუყენებია თავისი უპირატესობა ვიცეჩემპიონთან. თასის პატრონ „ბასკოს" კი აღარც თასის ფინალი შერჩა, მეორე ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა. ასე რომ, 27 მარტს თასის ფინალი თბილისური იქნება: „დინამო" „სტუ-ჯეოსელს" დაუპირისპირდება.

ამასობაში კი „ბასკო" მეორე და მთავარ ფრონტზე ახდენს მობილიზაციას, 5 მარტს უკვე ეროვნულ ჩემპიონატში ხვდება სტუ-ს და თუ მოუგო, „დინამოსა" და ყველასთვისაც პლეი ოფამდე მიუწვდომელი გახდება.




REUTERS

ბეშიქთაში — ვალენსია 0:2. თურქთა მეკარე ოსკარ კორდობამ ხუან სანჩესის დარტყმული ბურთი ვერ მოიხელთა

## უეფას თასი

**UEFA CUP 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ UEFA CUP**

**მალიორკა** (ესპანეთი) 0:1 **სპარტაკი** (მოსკოვი, რუსეთი) (3:0)
0:1 სამედოვი (44)
მალიორკა: მიკი, ლუსენჰოფი, ედუ მოია, ოლაიზოლა, ნაგორე (კოლსა 84), ნენე, მარკოსი, ტონი გონსალესი, ეტოო (პერეირა 46), ბრუგინკი, კორეა (კამპანო 60)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სპარტაკი: ლომაია, პარფიონოვი, მიტრესკი, კოვტუნი, პეტკოვიჩი, სამედოვი, ტრობოკი, ივანოვი, ჰრმანი, კალინიჩენკო, პიანოვიჩი
მწვრთნელი: ნევიო სკალა
გაფრთხილება: ივანოვი (13), ტონი გონსალესი (38), მარკოსი (38), კოვტუნი (73), მიტრესკი (87)
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
5 000 მაყურებელი

**ნიუკასლ იუნაიტედი** (ინგლისი) 3:1 **ვოლერენგა** (ნორვეგია) (1:1)
1:0 შირერი (19), 1:1 ჰაგენი (25), 2:1, 3:1 ამეობი (47, 89)

**ბორდო** (საფრანგეთი) 4:1 **ვროცლავი** (პოლონეთი) (1:0)
1:0 პლანუსი (41), 2:0, 3:0 შამახი (42, 65), 4:0 რიერა (74პ), 4:1 სვიერჩევსკი (90)
გაძევება: აფანუ (84, „ბორდო“)

**დნიპრო** (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) 0:0 **მარსელი** (საფრანგეთი) (0:1)

**რომა** (რომი, იტალია) 2:0 **გაზიანთეფსპორი** (თურქეთი) (0:1)
1:0 ემერსონი (23), 2:0 კასანო (43)

**გენჩლერი** (თურქეთი) 3:0 **პარმა** (იტალია) (1:0)
1:0 დაემსი (37პ), 2:0 მ. ფერარი (81ს.კ.), 3:0 თანდოგანი (90)
გაძევება: ს. ფრეი (34, „პარმა“)

**პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) 3:1 **პერუჯა** (იტალია) (0:0)
1:0 ჰოფლანდი (22), 2:0, 3:0 კეჟმანი (44, 48), 3:1 ზე მარია (88)

**ტეპლიცე** (ჩეხეთი) 1:0 **სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) (0:3)
1:0 მაშეკი (35)

**პანათინაიკოსი** (ათენი, საბერძნეთი) 0:1 **ოსერი** (საფრანგეთი) (0:0)
0:1 კალუ (72)

**ლევსკი** (სოფია, ბულგარეთი) 2:4 **ლივერპული** (ინგლისი) (0:2)
0:1 ჯერარდი (7), 0:2 ოუენი (11), 1:2 გ. ივანოვი (28), 2:2 სიმონოვიჩი (42), 2:3 ჰამანი (44), 2:4 ჰიიპია (67)

**ვილიარეალი** (ესპანეთი) 3:0 **გალათასარაი** (სტამბოლი, თურქეთი) (2:2)
1:0 ს. ანდერსონი (48), 2:0 როხერი (52), 3:0 რიკელმე (89)

**დებრეცენი** (უნგრეთი) 0:0 **ბრიუგე** (ბელგია) (0:1)

**ბარსელონა** (ესპანეთი) 2:1 **ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) (1:0)
1:0 ლუის გარსია (13), 2:0 კოკუ (43), 2:1 პ. ნილსენი (83)

**ინტერი** (მილანი, იტალია) 0:0 **სოშო** (საფრანგეთი) (2:2)
გაძევება: ვიერი (86, „ინტერი“)

**როზენბორგი** (ტრონჰეიმი, ნორვეგია) 2:1 **ბენფიკა** (ლისაბონი, პორტუგალია) (0:1)
1:0 ო. ბერგი (7), 2:0 კარადასი (15), 2:1 ნუნუ გომეში (19)
გაძევება: ნუნუ გომეში (42, „ბენფიკა“)

**ბეშიქთაში** (სტამბოლი, თურქეთი) 0:2 **ვალენსია** (ესპანეთი) (2:3)
0:1 ანგულო (12), 0:2 ხუან სანჩესი (57)
გაძევება: ძაგო (90, „ბეშიქთაში“)



ბირმინგემი — მიდლსბრო. ჩხუბიც იყო – ბოროელმა დენი მილსმა და ბირმინგემელმა რობი სევიჯმა ერთურთი შეატორტმანეს

### ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ბირმინგემი 3:1 მიდლსბრო

I დივიზიონი. XXXIV ტური

დერბი ქაუნთი 0:0 ქრიუ
უოლსოლი 1:3 სანდერლენდი

II დივიზიონი. XXXIV ტური

სუინდონი 2:0 ტრანმერი

III დივიზიონი. XXXIV ტური

ბოსტონი 0:2 საუთენდი
ოქსფორდი 0:0 იორკი

### სლოვაკეთი

I ლიგა
გადადებული მატჩი

ტრნავა — ტრენჩინი გადაიდო

### იტალია

სერია C1/A. გადადებული მატჩი

ვარეზე 0:2 ლუკეზე

### საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

პანიონიოსი 0:0 ოლიმპიაკოსი (0:1)
კასტორია 0:1დ.დ.(პენ.4:3, 0:1) პროდეფტიკი (1:0)

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული მატჩი

ბანიკი 6:2 სინოტი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

ანიო 2:1 ვოლენი

თასის ნახევარფინალი

გრასჰოპერი 6:5დ.დ.(5:5) ციურიხი
სიონი 2:2დ.დ.(პენ.3:2, 2:2) მეირინი

# ლომაია მშრალად, სპარტაკი მშრალზე
## მათეუსი ინტერიტორიაზე შეიჭრა



„ვილიარეალმა“ „გალათასარაი“ ოთხზეც დააყენა და სამჯერაც გაუტანა

ნევიო სკალამ კვლავ ანდო მოსკოვის „სპარტაკის“ კარის დაცვა გიორგი ლომაიას და „მალიორკასთან“ საპასუხო მატჩშიც ქართველ მეკარეს გოლი არ გაუშვია, „სპარტაკმაც“ 1:0 მოიგო, მაგრამ ამით საქმეს არაფერი ეშველა — მოსკოვური 0:3-ის მერე სამედოვი კინკილა გოლმა სასწორის წინა რუსთა მხარეს ვერ გადასწონა და უეფას თასის მერვედფინალში ლუის არაგონესის კუნძულელები გავიდნენ.

ოთხი თურქული გუნდიდან კი შემდეგ ეტაპზე მხოლოდ უსახელო „გენჩლერმა“ გაალწია, რომელსაც პირველი მატჩი პარმაში 1:0 მოეგო, შინ კი იტალიელებს სულაც სამჯერ გაუტანა, ოღონდ სტუმართა კარში გოლთაცვენა მას მერე დაიწყო, როცა 34-ე წუთზე პარმელთა მეკარე სებასტიან ფრეი რომ გააძევეს.

თუ ფაბიო კაპელოს „რომასგან“ „გაზიანთეფსფორის“ 2:0 ძლევა არავის გაუკვირდება, სამაგიეროდ, გასაკვირია თურქული ბობოლა გუნდების, „გალათასარაისა“ და „ბეშიქთაშის“ შერცხვენა. ფათიჰ თერემის „გალა“ „ვილიარელმა“ სამი უპასუხო გოლით გაისტუმრა, მირჩა ლუჩესკუს გუნდი კი „ვალენსიამ“ სტამბოლში 2:0 დაამარცხა.

ჟერარ ულიემ სოფიაში გამარჯვებით ვინძლო, თავი გადაირჩინა, საქმე ისაა, რომ მას ავი თვალით მზირალი „ლივერპულის“ ფანები ამსწინათ, არც მეტი, არც ნაკლები, სიკვდილით დაემუქრნენ. ამ ამბავს ახლა ლივერპულის პოლიცია არჩევს, „ლევსკი“ — „ლივერპულის“ წყვილში კი გასარჩევი ალარაფერია, ინგლისელებმა ბულგარელებზე 4:2 იძალეს და მერვედფინალს უწიეს.

მერვედფინალშია იტალიური „ინტერიც“, თუმც სანყალობელი საშინაო 0:0-ის მერე. ფრანგულმა „სოშომ“ „შავ-ლურჯებს“ „სან სიროზე“ გვარიანი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ვერც თვითონ გაიტანა და არც მასპინძლებს გაატანინა, ალბერტო ძაკერონის მოშლილი გუნდი კი შემდეგ ეტაპზე სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გავიდა. რახან „ინტერზე“ ვლაპარაკობთ, ბარემ ვთქვათ, რომ „შავლურჯთა“ მწვრთნელობა დიდ გერმანელს, ლოთარ მათეუსს მონდომებია და სურვილი გუშინ საჯაროდაც გამოაცხადა.

ბოლოს კი გეტყვით, რომ მერვედფინალის წილისყრა დღეს უეფას ნიონურ მთავაროფისშია დანიშნული.



ინტერი — სოშო. კრისტიან ვიერის მატჩის ჩამთავრება არ აცალეს



აუდი A6-ის ნაღდი მყიდველები: რაული, რონალდო და ფიგუ ჟენევურ ავტოპრეზენტაციაზე



# გრძნობათა წილისყრა
## რიონი თუ სიონი?

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის თასის მერვედფინალის წილისყრა გაიმართა. 12 უმაღლესლიგელი, 3 პირველლიგელი და 1 რეგიონალლიგელი — ასეთია დარჩენილი თექვსმეტეულის შრეობრივი შემადგენლობა.

ყოველგვარი განთესვისა და ზედმეტი პომპეზურობის გარეშე მოწყობილმა კენჭისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:

**დინამო ბათუმი — მცხეთა**
**დილა გორი — ჰერეთი ლაგოდეხი**
**ტორპედო ქუთაისი — სიონი ბოლნისი**
**დინამო თბილისი — სამგურალი წყალტუბო**
**ამერი თბილისი — სპარტაკი თბილისი**
**მერცხალი ოზურგეთი — ქობულეთი**
**ვიტ ჯორჯია თბილისი — კოლხეთი ფოთი**
**ლოკომოტივი თბილისი — თბილისი**

მეთექვსმეტედფინალისგან განსხვავებით, აშკარად საინტერესო წყვილები გამოჩნდა. თუნდაც „ტორპედო“ — „სიონი“ ან „ლოკომოტივი“ — „თბილისი“ რად ღირს...

ინტრიგა საძიებელი სულაც არ არის: „ტორპედოს“ და „სიონს“ ისედაც ბევრი აქვთ გასარკვევ-გასარჩევი. პირველი და უმთავრესი კი, ცხადია, ოთარ გაბელიას ფაქტორია. შარშანდელი „სიონის“ და წლევანდელი „ტორპედოს“ თავკაცის. ვილაცას ხომ უნდა შევხვედროდითო, ასეთი იყო გაბელიას რეპლიკა, როცა სამერვედფინალო მეტოქის ვინაობა გაიგო. თუმც რეპლიკას გულით ნათქვამი სიტყვებიც მოჰყვა: „ვგრძნობდი, რომ ასე მოხდებოდა, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. ეს ფეხბურთია და გამარჯვებული მოედანზე გამოჩნდება“. ფეხბურთი და დიპლომატია ერთმანეთისგან შორს არ დგას, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, გაბელიას „სიონის“ დამარცხება განსაკუთრებულად არ სურდეს და პირიქით: შარშან ბოლნისურ კლუბში მისულმა ოთარ გაბელიამ მთავარი მწვრთნელის პოსტზე თემურ მახარაძე შეცვალა, ვისი დათხოვნაც მაშინ ათასი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ახლა გაბელია „ტორპედოშია“, მისი ბოლნისური ადგილი კი ისევ მახარაძემ შეავსო...

და კიდევ: „ტორპედოს“ დღესაც მწარედ ახსოვს შარშანდელი ბოლნისური მუჯლუგუნი. თასის ნახევარფინალში „სიონმა“ შინ 1:0 სძლია რიონისპირელებს, ქუთაისში კი დრამატულ მატჩში შეძლო მასპინძელთა ატირება. მაშინ „ტორპედო“ ვერც ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ზურაბ იონანიძემ იხსნა — პენალტი გააფუჭა და შეხვედრაც სასიონო 0:0-ით დასრულდა. თან ეს არ იყო მხოლოდ ფინალში გასავლელი მატჩი: იქიდან უეფას თასზე გასასვლელი გზაც ჩანდა...

არანაკლებ თვალსასეირო იქნება „ლოკომოტივი“ — „თბილისის“ შებმაც. ზაურ სვანაძის მოქოქილი გუნდი არც ისე ხელწამოსაკრავი ჩანს და არა მგონია, დიდი მიზნებისთვის მებრძოლმა „თბილისმა“ იოლად ჩამოიშოროს გზიდან. „ლოკომოტივის“ ერთადერთი პრობლემა შეუთამაშებლობაა, რასაც გიორგი დევდარიანის გუნდზე ვერ ვიტყვით, თუმც შანსებს მაინც თანაბრად ვაფასებთ: ორმოცდაათი ორმოცდაათზე — არც მეტი, არც ნაკლები.

დანარჩენი უმაღლესლიგელებიდან ყველაზე მეტად გორის „დილას“ გაუმართლა — მეტოქედ რეგიონალლიგელი ლაგოდეხის „ჰერეთი“ ერგო. ცოტა დამძიმებულ „ვიტ ჯორჯიას“ კი ფოთის „კოლხეთთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

ზოგადად, სათასო მატჩები დაბალლიგელთა სიჩაუქით გამოირჩევა და ჩვენც ორიოდ სიტყვა პირველი ლიგის წარმომადგენლებზეც ვთქვათ. „სამგურალი“, „ამერი“ და „ქობულეთი“. ამათგან ყველაზე მეტად წყალტუბოელებს არ გაუმართლათ: მეტოქედ „დინამო“ შეხვდათ. იღბლიანი გამოდგა „ქობულეთი“, რომელიც დაჩაჩანაკებულ ოზურგეთის „მერცხალს“ დაეჯახა. თბილისურ „ამერს“ კი საშუალო ვარიანტი ერგო — მასავით ახალგაზრდული და სიმპათიური „სპარტაკი“.

ერთი სიტყვით, ბურთი და მოედანი ყველა შეკითხვას გასცემს პასუხს, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩები 7 მარტს გაიმართება, საპასუხოები — 13-ში. გამონაკლისი ერთია — იმის გამო, რომ „ამერი“ და „დინამო“ საშინაო მატჩებს „ეროვნულზე“ ატარებენ, ივო შუშაკის გუნდი სათასო მატჩებს 6 და 12 მარტს მოიღებს.

**კახა შალამბერიძე**

# არველაძე მუხლს სელტიკისთვის ინახავს



„რეინჯერსის“ ქართველმა ფორვარდმა შოთა არველაძემ და მისმა ექიმმა გადაწყვიტეს — ჩვენიანი „სელტიკთან“ 7 მარტის თამაშის შემდეგ მუხლის ოპერაციას გაიკეთებს.

მოგეხსენებათ, 31 წლის შოთა არველაძეს მუხლის ქრონიკული ტკივილები აწუხებს, რაც მას რეგულარულად თამაშში ხელს უშლის. ამ ბოლო დროს ყოველი წარმატებული პერიოდი არველაძეს სწორედ მუხლის ტკივილების გამო უწყდებოდა და ექიმებთან სირბილი და უქმობა უწევდა.

— ჩემი კლიენტი „რეინჯერსთან“ კონტრაქტს ქრონიკული ტრავმიანობის გამო არ აგრძელებდა, მას მუხლი აწუხებდა, რაც თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალებას არ აძლევდა. ახლა კი თავად შოთამ და მისმა ექიმმა ოპერაციის გაკეთება და ტრავმისგან საბოლოოდ განკურნება გადაწყვიტეს — უთხრა სააგენტო „როიტერს“ შოთა არველაძის აგენტმა ივან ბენეშმა.



სანდრო იაშვილი

*კიევის „დინამოს“ თემა წლეულს ქართველი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია. უკრაინელებთან კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი ალეკო ამისულაშვილმა. სინჯებზე მყოფმა ლადო ბურდულმა ტრავმა მიიღო და კონტრაქტის საქმე ჩაეშალა, თუმც, როგორც ირკვევა, მხოლოდ მაისამდე. გარდა ამისა, ახლახან რევაზ ჩელებაძემ დაგვიდასტურა, რომ კიეველები დავით კვირკველიათი და სანდრო იაშვილით დაინტერესდნენ*

# კიეველები მალავენ, მაგრამ არ უარყოფენ

ვითარებაში უკეთ გასარკვევად კიევის „დინამოს“ პრესცენტრის ხელმძღვანელს სერგეი ხოლკოვსკის შევეხმიანეთ. ჩვენდა გასაკვირად, მან ჩვენში კარგად ცნობილი ფაქტები ჯერ უარყო. ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ რაღაც-რაღაცეები ჩვენც ვიცოდით, გვთხოვა, 40 წუთში დაგვერეკა. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, უფროსებისგან მიიღო კონსულტაცია და ინტერვიუც ამის მერე შედგა.

— თქვენს კლუბს ორი ქართველი ფეხბურთელი, კვირკველია და იაშვილი აინტერესებს, რისი თქმა შეგიძლიათ ამის თაობაზე?

— იაშვილის შეძენა „დინამოს“ მართლაც სურს. ჩვენი კლუბი მზად იყო, ამ ახალგაზრდა და ნიჭიერ ფორვარდთან კონტრაქტი გაეფორმებინა, მაგრამ თბილისის „დინამომ“ მოლაპარაკებებზე უარი თქვა.

— რას გულისხმობთ, დიდი თანხა დაასახელეს თუ მისი გაყიდვა არ ისურვეს?

— ქართულმა მხარემ, უბრალოდ, იაშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით საუბარი ამ ეტაპზე არ ისურვა. ჩვენთვის მათი პოზიცია გასაგებია.

— კვირკველია?

— კვირკველია, როგორც ჩანს, ჩვენზე მეტად სხვა უკრაინულ კლუბს სურს.

— ლადო ბურდულის ტრანსფერი, რამდენადაც ვიცით, თქვენი კლუბისთვის ისევ აქტუალურია...

— ბურდულისადმი ინტერესი ნამდვილად არ გაგვნელებია. მოვლენებს არ გავუსწრებ, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ ბურდული მაისის ბოლოს ისევ ჩამოვა კიევში.

**დავით ერაძე**

# რატის შეშურთო ვპერიოდი

*თურქულ შეკრებაზე მყოფ „როსტოვს“ რატი ალექსიძე სამი დღის წინ შეუერთდა. მან კლუბთან ერთად ორი დღე ივარჯიშა და გუშინ უკრაინული „ვორსკლას“ წინააღმდეგ ითამაშა. თურქეთში შეხმიანებისას, რატიმ არ დამალა, რომ საკუთარი თამაშით უკმაყოფილო იყო. მისი გუნდი კი 0:1 დამარცხდა. ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ იმ სტრესის კვალობაზე, რისი გადატანაც თბილისში ჩამოსულ და უცნაურ საავტომობილო ხათაბალაში გახვეულ ფორვარდს მოუხდა, ეს გასაკვირიც არ იყო*



— „ვორსკლასთან“ საკმაოდ მძიმე თამაში გამოვიდა. ეს იმდენად მეტოქის დამსახურება არაა, რამდენადაც ჩვენი გუნდის შეუთამაშებლობის. მოედანზე ურთიერთგაგებაში აშკარად მოვიკოჭლებთ. პარტნიორები ისე ვერ მიგებენ, როგორც „დინამოში“ იყო. გავიხსნები და პასი მიგვიანდება. მოკლედ, არის საფეხბურთო ნიუანსები, რომელთა დახვეწას დრო სჭირდება. ახლა კი ბურთის მისაღებად ცენტრში ჩამოსვლა, საჰაერო ბრძოლების მოგება და შეტევის წამოწყება მიწევს.

— კი მაგრამ, როსტოველებს ხომ ცენტრფორვარდად სურდით, ასე მათ რა სარგებელს მოუტან?

— მწვრთნელით დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული, ყველა მეუბნება, რომ შეტევაში დავრჩე, მაგრამ ჯერ არაფერი გამოდის. მიზეზი, ალბათ ისიცაა, რომ ჯერ კიდევ დიდი დატვირთვების ფონზე ვთამაშობთ. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 7 მარტს „სკონტოსთან“ მატჩის წინ დაგვასვენოს და ისე გვათამაშოს.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაფილოსოფიური დრო და სივრცე გოგობერიშვილისთვის


ბადრი ქეთილაძის ფოტო

*ალეკო გოგობერიშვილი მესამე სეზონს ატარებს თბილისის „დინამოში" და კვლავაც ჩვეულად შრომისმოყვარე და სტაბილურია. მართალია, „ვიტ ჯორჯიისგან" განსხვავებით „დინამოში" სხვა ამპლუაშია, ეგრეთ წოდებული მუშა საყრდენი გახდა და მოქმედების არეალიც შეუმცირდა, მაგრამ „დინამოშიც" ისეთივე შეუცვლელია, როგორიც „ვიტ ჯორჯიაში" იყო.*

*გუნდში ნემსაძის მოსვლით ალეკოს მეტი გასაქანი მიეცა და, უეჭველია, შეტევებში ჩართვით მეტ სარგებელს მოუტანს გუნდს. უცვლელი მის კარიერაში ერთი რამ რჩება — ვარჯიში, რეჟიმის და დისციპლინის პატივისცემა.*

*ჩვენი სტუმარი „დინამოს" შვიდი ნომერი ალეკო გოგობერიშვილია*

— სამი წელია, „დინამოში" ხარ. რა შეიცვალა შენს კარიერაში?

— ჩემთვის მთავარია იმის შეგრძნება, რომ მოვუმატე როგორც ფეხბურთელმა, მეტი ვისწავლე და უფრო თავდაჯერებული გავხდი. ისიც რად ღირს, რომ „დინამომ" უამრავი ადამიანი გამაცნო და მათთან დამაახლოვა, გუნდშიც ბევრი მეგობარი მყავს.

— ადრეულ ინტერვიუებში ამბობდი, „ვიტჯორჯიასნაირი" მეგობრული გუნდი არ არსებობს...

— „ვიტ ჯორჯია" ცალკე თემაა. „დინამოსთან" შედარებით ის უფრო ჰგავს ოჯახს. იქ ფეხბურთელების უმეტესობა ერთმანეთის მეგობარი ან ბავშვის ნათლიაა, „დინამო" კი მაინც სხვა დონეა, რაც ჩემი ზრდისთვისაც აუცილებელი აღმოჩნდა.

— ბოლო ათი წელია, ქართულ კლუბებს საერთაშორისო სარბიელზე წარმატება არ მოუპოვებიათ და, როგორც იქნა, „დინამომ" ესენგის თასზე გაიმარჯვა...

— ეს პირველ რიგში ერთსულოვნების წყალობით იყო. ეს არ ყოფილა შემთხვევითი გამარჯვება. „დინამო" ამ ტურნირისთვის საგანგებოდ არ მომზადებულა, მიზანთან იმ სამწლიანმა თავდაუზოგავმა შრომამ მიიყვანა, რასაც ივო შუშაკი ეწევა. შუშაკმა გამარჯვებებისთვის განგვაწყო და ამან თავდაჯერება და ერთსულოვნება შეგვმატა.

— ამ ტურნირის შემდეგ „დინამოს" ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა სელექციონერთა ყურადღება მიიპყრო. შენით არავინ დაინტერესებულა?

— წინადადებები კი იყო, თუმცა ეს აფიშირებული არ ყოფილა. გარკვეული კავშირები რუსულ და უკრაინულ კლუბების წარმომადგენლებთან ახლაც მაქვს, მაგრამ არ ვჩქარობ. „დინამოსთან" სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი და ჯერ ამ კლუბს უნდა გამოვადგე. მომავალში კი უფრო მაღალ დონეზე მოვსინჯავ ძალებს.

— სათასო მატჩებში შენ უფრო წინ წაგწიეს. ეს ალბათ ის ადგილია, სადაც უფრო უკეთ შეძლებ შენი უნარის წარმოჩენას.

— ჩემი წინ წაწევა გუნდში ნემსაძის მოსვლითაა განპირობებული. საერთოდ, ნემსაძე საჭირო დროს შემოუერთდა „დინამოს". მისი გამოცდილება გუნდსაც და თითოეულ ფეხბურთელსაც დიდ სამსახურს გაუწევს, მე კი მეტი თავისუფლება მომეცა. მართალია, ეს ის დიაპაზონი არ არის, რაც ანჩაბაძეს აქვს, მაგრამ გაცილებით თამამად წავალ წინ და შეტევებშიც ჩავერთვები. თანაც მშვიდად ვიქნები იმიტომ, რომ ჩემს უკან ნემსაძე ითამაშებს. წინ წაწევით მეც მოვიგებ და გუნდსაც მეტ სარგებელს მოვუტან.

— რა მიზეზია, რომ შორიდან დარტყმებსაც უკელი?

— მეც ვატყობ, რომ ადრინდელზე ნაკლებად ვურტყამ შორიდან, თუმცა ამასაც თავისი ახსნა აქვს. როდესაც შავ სამუშაოს ასრულებ, შემოქმედების და თუნდაც დასარტყმელ პოზიციაზე გასვლის გაცილებით ნაკლები დრო და საშუალება გაქვს. თუმცა, ცხადია, შორიდან დარტყმები არ დამვიწყებია.

— კვიპროსზე საქართველოს ნაკრების თამაში სირცხვილის მეტი არაფერი იყო...

— თავის მართლება და მიზეზების ძებნა ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკრები კვიპროსზე ჩამოუყალიბებელი და დაუბალანსებელი ჩავიდა, დინამოელთა უმეტესობამ კი მოსამზადებელი პერიოდისთვის ჩვეული უდიდესი ფიზიკური დატვირთვების ფონზე ითამაშა. ამ დროს კი ყველა ჩვენს მეტოქეს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდა. სხვათა შორის, სომხეთის ნაკრებთან წაგება ყველაზე მტკივნეულად იქნა აღქმული. პირადად ჩემზე სომხეთის ნაკრებმა საკმაოდ შეკრული და გამართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მათ სამი ნატურალიზებული ზანგიც ჰყავდათ. დღეს ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა და გამონაკლისი არც ჩვენი მეზობლები არიან. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, კვიპროსზე სამარცხვინოდ ვითამაშეთ და ჩვენს წილ პასუხისმგებლობას არ ვიხსნით. არც ისაა მართებული, რომ განტევების ვაცად ნაკრების მწვრთნელები ვაქციოთ. ტყებუჩავას და ჩხაიძის სამწვრთნელო ღირსებას ჩრდილს არ ვაყენებ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ნაკრების დონეზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ.

— ნაკრებში ფრანგი ალენ ჟირესის დანიშვნას როგორ შეხვდი?

— საერთოდ, ქართულ ფეხბურთს და ნაკრებს ევროპელი სპეციალისტები ჰაერივით სჭირდება. ამიტომაც ჟირესის დანიშვნას გამართლებულ ნაბიჯად ვთვლი. ქართველები თანამედროვე ფეხბურთს ჩამოვრჩით და ისეთი სპეციალისტი გვჭირდება, ვინც მის ტემპს აგვაყოლებს. თავად ჟირესს რაც შეეხება, ვიცი, რომ დიდი ფეხბურთელი იყო, მისი თამაშიც მინახავს. იმედი მაქვს, ჟირესის მოსვლით ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ბევრ ფეხბურთელსაც გაეხსნება ნაკრების კარი.

— ისევ „დინამოს" დავუბრუნდეთ. გულშემატკივრები გუნდისგან ევროპაში ღირსეულ თამაშს ელიან. რამდენად რეალური გგონია ამის პერსპექტივა?

— შეუძლებელი არაფერია. ამისთვის სამი-ოთხი ფეხბურთელით გაძლიერებაა საჭირო. „დინამოში" ჩემი დარჩენაც გუნდის მომავალ გეგმებზე იქნება დამოკიდებული.

— თავისუფალი დრო შენსავით რეჟიმის მოყვარულ სპორტსმენს ბევრი არ ექნება...

— თავისუფალი დრო მართლაც ცოტა მრჩება, მაგრამ როგორც კი მოვიცლი, ვცდილობ, ჩემს ექვსი თვის ნიცასთან ერთად ვიყო. საღამოს მეუღლესთან ერთად ბარში ან რესტორანში განმარტოება მიყვარს. ბუნებრივია, არც მეგობრებს ვივიწყებ. როდესაც კინოში სასურველი ფილმია, აუცილებლად მივდივარ, მოკლედ, ძირითადად ოჯახთან და მეგობრებთან ყოფნას ვეშურები.

**დავით ერაძე**


ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ლოდინმა გული გააწყალა, დარჩა ანჟი და მახაჩყალა

*დასრულდა! ალექსანდრე რეხვიაშვილის უგუნდობას ბოლო მოეღო. მართალია, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველისთვის მახაჩყალის „ანჟი" დიდი ვერაფერი გუნდია, მაგრამ სულ უთამაშებლობას ნამდვილად ჯობს*



მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის" მიერ ტრანსფერზე დაყენებული რეხვიაშვილი ბოლო მომენტამდე იკავებდა თავს — რუსეთის პირველ დივიზიონში თამაშის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავდა და სხვა ვარიანტებს ელოდა. ლოდინი ისეთი ხანგრძლივი და უნაყოფო გამოდგა, რომ...

ერთი სიტყვით, რეხვიაშვილი ანჟელია. მახაჩყალურ კლუბში ის უკვე რამდენიმე დღეა, ვარჯიშობს, თუმც ამ ამბავს წერტილი ახლაღა დაესვა. ჩვენებურმა ევგენი კუზნეცოვის გუნდში თამაშზე თანხმობა განაცხადა. ამგვარად, იგი „ანჟიში" მესამე ქართველია კახა ცხადაძისა და კახა მჟავანაძის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ რეხვიაშვილამდე „ანჟი" ბათუმელ მიხეილ კაკალაძესაც ეპატიჟებოდა, მაგრამ მან თბილისის „დინამო" ამჯობინა.

„ანჟი" თურქულ შეკრებას 7 მარტს დაასრულებს. მანამდე კი ყაზახურ „ესილ-ბოგატირს" და რუსულ „ურალს" ამხანაგურად გაეჯიბრება. სავარაუდოდ, რეხვიაშვილიც სწორედ ამ მატჩებში მოირგებს პირველად მახაჩყალური კლუბის მაისურას.

**ბაჩა შალამბერიძე**

# დემეტრაძის გოლლანდია



**გიორგი დემეტრაძის** იღბლიანი პერიოდი გრძელდება. მერამდენე მატჩია, დონეცკის „მეტალურგის" ქართველი თავდამსხმელი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ასე იყო გუშინწინაც. მეტალურგები სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" 2:3 დამარცხდნენ, თუმც „დემემ" თავისი სიტყვა მაინც თქვა — 72-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი მოატყუა და მესამემ აკრძალული ილეთით დასცა. პენალტი დემეტრაძემ ჩვეულად შეასრულა — ტექნიკური დარტყმა, მეკარე იქით, ბურთი აქეთ...

გიორგიმ „ზენიტთან" სრულად ითამაშა, გოჩა ჯამარაული კი მწვრთნელმა 81-ე წუთზე შეცვალა.

ეს „მეტალურგის" მეოთხე სპარინგი იყო ჰოლანდიურ შეკრებაზე. უკრაინელებს ერთი ამხანაგური მატჩიც აქვთ დაგეგმილი.

**ბაჩა შალამბერიძე**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეგისტრაციაში გასავლელად და ასოციაციის წევრის ახალი მოწმობის (2004-2005 წ.წ.) მისაღებად გთხოვთ, 4-დან 12 მარტამდე მოგვმართოთ ასოციაციის ოფისში.
მისამართი: რუსთაველის 42, მეხუთე სართული.
ტელეფონი: 99-08-22
თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# დარტანიანი და ხათხა იოგა

## დუბლმოგონება საოცარ ბიჭებზე

*მაშინ, როცა თბილისი და მთელი საქართველო ფეხბურთით სუნთქავდა, როცა „დინამოს“ თამაში იყო დღესასწაული და საყოველთაო განსჯის თემა, როცა ხალხი ფეხბურთზე კამათს დილის ექვს საათზე ამთავრებდა, „დინამოს“ ჰყავდა დუბლშემადგენლობაც და იმართებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის დუბლ-გუნდებს შორის.*

*ყველაფერი ეს ძალიან რაღაცნაირი, უცნაური და ამ დროის კვალობაზე ჯადოსნური ამბავი იყო, სიტყვით მთელი სისავსით რომ ვერ გადმოსცემ, ისეთი — ამის მიღმა ძალიან ცუდი და ძალიან კარგი ისტორიები იმალებოდა...*

*„დინამოს“ დუბლებში კი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ, ეს ის ხალხი იყო, ვისაც ცოტაც და მთელი საქართველო შეიყვარებდა, მაგრამ...*

*იმ ამბებს ერთი წიგნის ერთი თავი ვერ გასწვდება, თუმც ვაჟა ჟვანიას მაინც ვთხოვეთ მათი გახსენება.*

**დავით თავართქილაძე**



„დინამოში“ 1976 წელს მივედი. მაშინ დუბლშემადგენლობის დუბლშემადგენლობაც არსებობდა და მეც თავიდან იქ მოვხვდი. დუბლებს სერგო კუტივაძე წვრთნიდა, ვინც პირველ „დინამოში“ ნოდარ ახალკაცის თანაშემწე იყო. კუტივაძე საკმაოდ მაღალი ინტელექტის მწვრთნელი გახლდათ და მხოლოდ ერთი მინუსი ჰქონდა — ცოტა სმა უყვარდა. დუბლშემადგენლობის სამატჩო განაცხადსაც ახალკაცი ადგენდა — დუბლებში პირველი გუნდის ფეხბურთელებიც თამაშობდნენ მიზეზთა გამო — ზოგს ფორმა უნდა შეენარჩუნებინა, ზოგიც ტრავმისშემდგომ პერიოდს გადიოდა.

ჩვენი თაობა, ვინც დუბლებში ვთამაშობდით, ნიჭით და უნარით არ ჩამოვუვარდებოდით პირველი გუნდის ფეხბურთელებს და ასე ფიქრობდა გულშემატკივართა ნაწილიც. თბილისელი გულშემატკივრები მაშინ ორად იყვნენ გაყოფილნი — ერთი ნაწილი მუშტაიდში იკრიბებოდა, მეორე კიროვის პარკში, სადაც ღამე უფრო დიდი ინტელექტის ქომაგობა იყრიდა თავს. მათ თავიანთი ბელადიც კი ჰყავდათ — ქართლოს სვანიძე. დუბლების ფეხბურთელები ძალიან კარგად ვგრძნობდით გულშემატკივრების ყურადღებას. „დინამო“ მაშინ მხოლოდ საქართველოსი კი არა, მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყე იყო — „დინამო“ იყო ძალიან განსაკუთრებული გუნდი საბჭოთა კავშირში, რომელიც სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა. თანაც, ფეხბურთი მთელი პოლიტიკური სპექტრით იყო დატვირთული ამ ქვეყანაში — ფაქტობრივად, ეს გახლდათ ჩემპიონატი თხუთმეტ ქვეყანას შორის.

რაც შეეხება პირობებს, „დინამოში“ ხელფასი 150-250 მანეთი იყო, ხოლო დუბლებში 76 მანეთი და ხელზე 60 მანეთს თუ აიღებდი.

1977-81 — ამ წლებში „დინამოს“ მართლაც ძალიან კარგი დუბლშემადგენლობა ჰყავდა და 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიც გავხდით. მამინაშვილი, დურდიაძე, რუხაძე, არქანია, ჯოხაძე, იაგო ჟორჟიკაშვილი, ჩქარეული, ჟორდანია, ცაავა, ნანბა, მესხი... უნიჭიერესი პლეადა იყო, გრიგოლ ცაავა ერთხელ დუბლჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა.

ძალიან ნიჭიერი მცველი იყო ტარიელ დურდიაძე და ნოდარ ახალკაცსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ დურდიაძეს ორივე ფეხზე ორ-ორჯერ მოუწია მენისკის ოპერაციის გაკეთებამ და დიდი ფეხბურთი ვეღარ ითამაშა. კიდევ რომელი ერთი ნიჭიერი მოთამაშე დაგისახელოთ, მაგრამ იყო ერთი ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მაგარი — მიხეილ მესხი.

უმცროს მესხს მამამისზე კარგი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ ნიჭი ვერ გამოიყენა. ინდივიდუალურად გუნდში ის ყველაზე ძლიერი იყო, ისეთ რამეებს აკეთებდა, თითქოს მესამე ფეხიც ჰქონდა გამობმული. მესხი მცველს ხანდახან ისე მოატყუებდა, გეგონებოდა, მცველი ცოტაც და წელში გადატყდებაო. მაგრამ მესხს ფიზიკური კონდიციები არ უწყობდა ხელს თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე. გენეტიკურად კი მიშა ძალიან ძლიერი იყო — ჰეპატიტი ოთხჯერ გადაიტანა, მაგრამ ფეხბურთს მაინც თამაშობდა.

დუბლების ჩემპიონატიც ძალიან დაძაბული იყო, ჩვენს საშინაო მატჩებზე 5-10 ათასი და ზოგჯერ მეტი კაცი დადიოდა, თამაშები პირველი გუნდების მატჩის წინა დღეს იმართებოდა. თავისუფალი დროც ფაქტობრივად არ გვქონდა და თანაგუნდელებიც უმეტესწილად ბაზის თუ სასტუმროს ნომრებში ვიკრიბებოდით. ყველაზე მაგრად მესხი ხუმრობდა, ის იყო ყველაზე ენაკვიმატი, სიცილით გვხოცავდა.

ძალიან ახლოს ვმეგობრობდით მე, ცაავა, ნუკრი კაკილაშვილი და მერაბ ჟორდანია — ახალკაცმა ჩვენ დარტანიანი და სამი მუშკეტერი შეგვარქვა. დარტანიანი მე ვიყავი და აი, რატომ — „მუშკეტერები“ მორიდებულები იყვნენ, მე კი საზოგადოებაში უკომპლექსოდ ვიქცეოდი. „მუშკეტერები“ თუ გოგოებში გავივლიდით, აქაც მე ვიყავი ინიციატორი. აქცენტირებულნი, რა თქმა უნდა, რუს გოგოებზე გახლდით — ახლაც ასე მიმაჩნია, რომ რუსი ქალები მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესნი არიან. ჩვენი სამეგობრო ოთხეულიდან კი ასეთ ონავრობაში დამნაშავედ სულ მე ვითვლებოდი და ახალკაცის რისხვასაც ვიმსახურებდი.

ერთხელ მოსკოვში ვართ, სასტუმრო „მოსკვაში“ და დუბლების თამაშის მერე. შევიტყვეთ, რომ მე, ცაავა, კაკილაშვილი და ჟორდანია მეორე დღეს პირველი გუნდის განაცხადში არ ვიქნებოდით. ჰოდა, წავედით ნაშებში! სასტუმროს ერთ-ერთ რესტორანში შევედით. „დინამო“ მაშინ ძალოვანი სტრუქტურების გუნდი იყო და ჩაშვების მექანიზმიც კარგად მუშაობდა. მოკლედ, ახალკაცმა გაიგო, რაც ხდებოდა. მაგრამ მე ჩემს გოგოსთან ერთად მომენტალურად დავტოვე რესტორანი. საქმე ის გახლდათ, რომ 1976 წლიდან იოგათი ვიყავი გატაცებული და ინტუიცია კარგად მქონდა გამომუშავებული. ხანდახან 2-3 თვით ადრე ვგრძნობდი მოვლენებს და ამის გამო საძმაკაცოში გიჟიც კი შემარქვეს. მაგრამ, იოგა ძალიანგ მეხმარებოდა, ბევრჯერ გავექეცი ახალკაცისგან ფაქტზე დაჭერას.

ერთხელ ახალკაცი სასტუმროს ჩემს ნომერში შემოვიდა და 5 წუთი მიხსნიდა, თუ ფაქტზე დაგიჭერ, გუნდიდან გაგაგდებო.

ხანდახან ბიჭები რამდენიმე ჭიქა შამპანურს შევსვამდით, მაგრამ მე შემეძლო, 15-20 წუთში ისე მოვწესრიგებულიყავი, რომ ვერავინ ვერაფერს შემატყობდა — გამორეცხვის იოგას წესები ვიცოდი, ამის მერე ფხიზელი ვიყავი და პირიდან ალკოჰოლის სუნიც არ ამომდიოდა. მოკლედ, ფაქტზე ვერ მიჭერდნენ, არადა, ახალკაცი ძალიან მკაცრი იყო, პირისპირ საუბარში ჟარგონითაც ლაპარაკობდა ფეხბურთელებთან და ეს იყო ერთ-ერთი ის ფაქტორი, რითაც ჯერ დისციპლინას მიაღწია, მერე კი წარმატებებს.

„დინამოს“ დუბლებში მერეც მოვიდნენ ძალიან ნიჭიერი ბიჭები — დოჩია, ბარათაშვილი, გოგრიჭიანი, გურული, კეტაშვილი... მამუკა აფციაურზეც უნდა ვთქვა, ვისაც „ჩუდა მალჩიკს“ ვეძახდით, იმდენად საოცარი ნიჭისა იყო.

რატომ ვერ ითამაშეს დიდი ფეხბურთი იმდროინდელი დუბლების ბიჭებმა? არ მსურს, ვინმე გავლანძღო, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ „დინამო“ მაშინ ძალოვანი სტრუქტურების, უშიშროებისა და მილიციის გუნდი იყო და ვფიქრობ, ამ ფეხბურთელების შორს ვერ წასვლა ძირითადად ამის ბრალი იყო — საბჭოთა კავშირის უშიშროებას არ უნდოდა, რომ ქართველი ფეხბურთელების ყველა ნიჭიერ თაობას ფურორი მოეხდინა. ყოველივე ეს ფარული პროცესი იყო ქვედა დინებებით, ბევრი რამ დღესაც საიდუმლოა ჩვენი საზოგადოებისთვის. თუნდაც ის რად ღირს, რომ იმდროინდელ ძალოვნებს ბევრი კომპრომატი ჰქონდათ ფეხბურთელებზე, რაც შანტაჟის საშუალებას აძლევდა. თუმც ისე არ მინდა გამოვიდეს, ყველაფერს სხვას ვაბრალებდე. ჩემი ბრალიც იყო, უფრო მაღალ დონეზე რომ ვერ ვითამაშე — დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ბევრ რაღაცაზე უარს ვიტყოდი...





თბილისის „დინამოს“ სიხარულში ძველი და ახალი თაობები ხშირად ერთად იყვნენ





საბჭოთა კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრებების ქართველები: ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, რამაზ შენგელია, ვაჟა ჟვანია და გრიგოლ ცაავა

# მოხუცი და ჩელსი

## კენ ბეიტსი აბრამოვიჩმა სუფთად დაითხოვა

*კენ ბეიტსმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან აღარ არის „ჩელსის“ თავმჯდომარე, ვინაიდან ეს თანამდებობა აქამდეც უფლებამოკვეთილად ეკავა მას შემდეგ, რაც კლუბი 140 მილიონ გირვანქად რომან აბრამოვიჩს მიჰყიდა*





**72 წლის** ბეიტსი 22 წელიწადს ედგა სათავეში „ჩელსის“, მართვის სადავეები კი თანდათან ჩამოერთვა და გადაეცა აბრამოვიჩისგან დანიშნულ ხალხს: კლუბისა — პიტერ კინიონს, ფირმა „ჩელსი ვილიჯისა“ ამერიკელ ვექილ ბრუს ბაკს. „ჩელსი ვილიჯის“ წარმატებული კომპანიის უფროსად ამერიკელის მიყვანამ გასულ თვეში ბეიტსი ისე აღაშფოთა, რომ მან უხეში წერილი დაწერა სამატჩო პროგრამაში, რომელიც ტრადიციულად მისი სტატიით იხსნებოდა ხოლმე. წერილი არ დაბეჭდეს, ბეიტსი კი „შტუტგარტთან“ თამაშის ოფიციალურ დელეგაციაშიც არ შეიყვანეს.

ბეიტსმა თავის ტრადიციულ თავმჯდომარის ყოველთვიურ საკლუბო შეხვედრაზე მისულ ას სტუმარს გამოუცხადა, რომ მის „სუფთად დათხოვნას“ ცდილობენ.

„შარშან ზაფხულს ბევრ რამეზე შევთანხმდით, მაგრამ ყველაფერი ისე არ მიდის — განაცხადა მოხუცმა — მე მომწონს ის სტილი, რომლითაც კინიონი გუნდს მართავს. აქ საქმე სხვაშია, ეს არის შეჯახება აღმოსავლურ და დასავლურ შეხედულებებს შორის“.

როდესაც აბრამოვიჩმა ბეიტსისგან „ჩელსი“ იყიდა, ისინი შეთანხმდნენ, რომ ბეიტსი 2005 წლის ბოლომდე თავმჯდომარე იქნებოდა, მერე კი კლუბის საუკუნოვან იუბილეზე მის მარად პრეზიდენტად გამოცხადდებოდა. სინამდვილეში კი მას კონიუნის „მანჩესტერიდან“ მოსვლისთანავე შეუკვეცეს ფრთები. ასე რომ, კენ ბეიტსი თითქოსდა დაუფასებელი სტოვებს კლუბს, რომელიც 1982 წელს 1 მილიონ გირვანქად იყიდა. ამ ოცდაორ წელიწადში მან კლუბისგან ღონიერი ფინანსური იმპერია შექმნა. მან მწვრთნელებად მიიყვანა გლენ ჰოდლი, რუუდ გულიტი და ჯანლუკა ვიალი, ამათ ხელში მოიგო ქვეყნის ორი თასი და ევროპის თასების თასი. ვიალიმ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდეც კი მიიყვანა გუნდი.

თუმცა, ევროპის ტელებაზრის კრიზისთან ერთად ბეიტსს საქმეები წაუხდა და ამიტომაც მიჰყიდა წილი რომან აბრამოვიჩს. დასაფიქრებელია, რომ კლუბის გადარჩენის გამო გადადგმულ ნაბიჯებს სწორედ მისი ამშენებელი შეეწირა.

მოკლედ, კენ ბეიტსი ერთი რიგითი მაყურებელია „სტემფორდ ბრიჯზე“, რომელიც ჩვეულებრივიდან არაჩვეულებრივ სტადიონად სწორედ კენ ბეიტსმა აქცია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ულიე, შენ გელის სიკვდილი!



**პოლიცია** იძიებს „ლივერპულის“ მენეჯერ ჟერარ ულიესადმი სიკვდილის მუქარის ამბავს. სასიკვდილო მუქარებით გაჯერებული წერილი ულიეს სამი კვირის წინ მიუღია და თავადვე გაუხსნია. „ლივერპულის“ პრეს-ცენტრის განცხადებით, კლუბს წერილი სახიფათოდ მიუჩნევია და პოლიციისთვის მიუმართავს.

ეს „პორტსმუთთან“ სათასო მატჩის წაგებამდე ყოფილა. ამ წაგების შემდეგ კი მუქარის სიტყვები პირდაპირ „ლივერპულის“ ბაზის კედლებზე ეწერა. „ეს ძალიან უსიამოვნო იყო, თუმცა პრობლემის გაბერვას არ ვაპირებთ“ — აცხადებს კლუბი.

**ირაკლი გამყრელიძე**

*„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო შვიდი პრემიერლიგური მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო და ალექს ფერგიუსონის გუნდიც ლონდონის „არსენალს“ 9 ქულით ჩამორჩა, ამიტომაცაა ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან რომ გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, მანჩესტერელთა მცველს გარი ნევილს ხელი არ ჩაუქნევია*

# გარი ნევილის შეუპოვარი ხმალი



ნევილმა ორი პრემიერლიგური შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა და ახლა ასე ბჭობს: „ჩვენი ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ზეგ ასოციაციის თასის მეოთხედფინალი გველის, მერე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „პორტუს“ ვმასპინძლობთ და მოგების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გავდივართ. საშინელება იქნება, თუ ყურებს ჩამოვყრით. დანებებას არავინ აპირებს, ბრძოლა ახლა იწყება და გულშემატკივრებსაც მეტი მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ. კრიზისი? მე მას ვერ ვხედავ, მთავარია, ვითამაშოთ ისე, როგორც გვჩვევია და ყველაფერი გამოსწორდება. სამ ფრონტზე ვიბრძვით და სამივეში წარმატებაზე ვფიქრობთ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ არასოდეს ირჩევს, რომელ შეჯიბრზე გააკეთოს აქცენტი. პრემიერლიგის დასრულებამდე 11 ტური დარჩა. შეგიძლიათ, იკითხოთ, შეძლებს კი „მანჩესტერი“ თერთმეტივეს მოგებას? მთლიანობაში თუ შეხედავთ, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სათითაოდ რომ ავიღოთ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ის გუნდია, რომელსაც შეუძლებლის აღსრულება ძალუძს. მთავარია, „არსენალმა“ წაიფორხილოს და ნახავთ...“

**ვაჟა ხუციშვილი**

# აი, შემოსავალი!

*„მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავაც მსოფლიოს უმდიდრესი კლუბია შარშანდელი შემოსავლების მიხედვით. „დელუტის“ ჯგუფის გამოთვლით, „მანჩესტერის“ შემოსავალი შარშან 167,83 მილიონი გირვანქა იყო, მეორე ადგილზე მყოფი „იუვენტუსისა“ კი 145, 75 მილიონი. საკვირველია, რომ კრიზისში მყოფი „ლიდსი“ ევროპულ ცხრილში მე-16 ადგილზეა 61,41 მილიონიანი შემოსავლით.*

მოწინავე ოცეული (მილიონ გირვანქაში)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. „მანჩესტერი“ | 167,83 | 11. „რომა“ | 88,39 |
| 2. „იუვენტუსი“ | 145,75 | 12. „დორტმუნდი“ | 82,78 |
| 3. „მილანი“ | 133,66 | 13. „ბარსელონა“ | 82,38 |
| 4. „რეალი“ | 128,5 | 14. „შალკე“ | 79,17 |
| 5. „ბაიერნი“ | 108,6 | 15. „ტოტენჰემი“ | 63,81 |
| 6. „ინტერი“ | 108,4 | 16. „ლიდსი“ | 61,41 |
| 7. „არსენალი“ | 99,87 | 17. „ლაციო“ | 59,34 |
| 8. „ლივერპული“ | 99,74 | 18. „სელტიკი“ | 58,07 |
| 9. „ნიუკასლი“ | 92,73 | 19. „ლიონი“ | 56,27 |
| 10. „ჩელსი“ | 89,32 | 20. „ვალენსია“ | 53,73 |

# ნაცოდვილარს ცოდვები გაუხსენეს

## ჰოდლი სამხრეთში არ უყვართ



**ვინ შეცვლის** გორდონ სტრაჩანს? ეს კითხვა აღელვებს „საუთჰემპტონის“ ფანებს, რომლებიც ახალი მწვრთნელის გამოცხადებას ელიან. სტრაჩანმა გასულ თვეში განაცხადა, რომ საკუთარ ჯანმრთელობას უნდა მიხედოს და მუშაობას ვეღარ შეძლებს. შოტლანდიელმა პოსტი უკვე დატოვა და გუნდს დროებით სტივ უიგლი თავკაცობს. „წმინდანები“ პრემიერლიგაში მე-12 ადგილზე არიან და, როგორც ყოველთვის, არგავარდნაზე ზრუნავენ.

„საუთჰემპტონის“ მწვრთნელობა გლენ ჰოდლს შესთავაზეს. ჰოდლი ამ კლუბში ადრეც მუშაობდა, 2000 წლის იანვრიდან 2001-ის მარტამდე. შემდეგ მოულოდნელად დატოვა სამხრეთული ქალაქი და ლონდონში, „ტოტენჰემში“ გადაბარგდა.

სწორედ ამის გამო გლენ ჰოდლი საუთჰემპტონში გულზე არ ეხატებათ. მოკლედ, ჰოდლის მოწყობა „საუთჰემპტონში“ ძნელად სავარაუდოა. თან თავად თქვა, კანდიდატთა სიიდან ამომშალეთო: „მესმის, რომ კლუბის დირექტორატის წევრთა შორის მხარდამჭერნი ბლომად მყავს, მაგრამ მათი რაოდენობა 100 პროცენტს არ შეადგენს, ამიტომ ჩემი დაბრუნება საეჭვოა, არადა, სიამოვნებით ვიმუშავებდი „საუთჰემპტონში“.

სამხრეთული გუნდის თავმჯდომარემ გუშინ საქვეყნოდ განაცხადა, ჰოდლს ასე და ასე უთქვამს და ჩვენ ვერ დავაძალებთო.

ჰოდლის წინააღმდეგ „წმინდანების“ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი განსაკუთრებით აჯაგრულია და კლუბში მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება. ზემოთაც ვთქვით, „საუთჰემპტონს“ ჯერჯერობით სტივ უიგლი უძღვება, ახალ მთავარ მწვრთნელს კი ალბათ თავმჯდომარე რუპერტ ლოუ გამოაცხადებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სად უნდა წავსულიყავი?!

## რონალდო რეალს და ფეხბურთს ერთად გაეყრება

*რონალდო „რეალში“ ყოფნით ბედნიერია და ამის დასტურად „სამეფო გუნდთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. მეტიც — ოკეანისგაღმელს კარიერის დასრულება სწორედ კასტილიურ გრანდში სურს.*

*ფლორენტინო პერესის კიდევ 4 წლით ერთგულ ვარსკვლავს ესპანური „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა*



— რადგან კონტრაქტი გაახანგრძლივეთ, ესე იგი, „რეალში“ თავს კარგად გრძნობთ...

— დიდ ფეხბურთს „რეალის“ მაისურით უნდა დავემშვიდობო. ძალიან მიხარია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვრჩები. როდესაც კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის განახლება შემომთავაზა, წამითაც არ მიყოყმანია, დაუყოვნებლივ დავთანხმდი. არა მხოლოდ კლუბში, ზოგადად მადრიდში შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

— ოთხი წლის მერე რას აპირებთ?

— 2008-მდე საკმაოდ დიდი დროა და ამ ოთხ სეზონში სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ალბათ რაღაცას მოვიფიქრებ, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, გამოსათხოვარი მატჩის ჩატარება „რეალის“ შემადგენლობაში მსურს.

— ამ სეზონში გულშემატკივრებს 35 ბურთის გატანას დაპირდით და მიზანთან ახლოს ხართ. მომდევნო სეზონებში ფსონს ალბათ კიდევ გაზრდით...

— ვნახოთ. ჯერ იმ 35-ს გავიტან და დანარჩენზე მერე ვიფიქრებ. ყოველ შემთხვევაში, მიღწეულზე გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ.

— ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე რას იტყვით?

— „რეალს“ წლეულს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების ბრწყინვალე შანსი აქვს. დააკვირდით, ყოველ მატჩში, გნებავთ, პრიმერაში, გნებავთ, ჩემპიონთა ლიგაში, დიდი უპირატესობა გვაქვს-ხოლმე და შეუძლებელია, ამ დიდი უპირატესობას, ამ ძალისხმევას ჯილდო არ მოჰყვეს. პირადად მე კი ჩემპიონთა თასიღა მაკლია, რასაც ალბათ ამ სეზონში ავინაზღაურებ.

— სხვა დიდ კლუბებსაც სურდათ თქვენი შეძენა. მათ ემისრებს არც სამომავლოდ მიიღებთ?

— გავაკეთე ის, რაც საუკეთესო არჩევნად მიმაჩნია — კიდევ 4 წელი რეალელი ვიქნები. ისე, სხვა დიდი კლუბების ჩემით დაინტერესება მსიამოვნებს, თუმც გინდ „ჩელსის“, გინდ „მილანისა“ თუ სხვების შემოთავაზებები თავიდანვე განწირული იყო. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობ, ამაზე უკეთეს ადგილას სად უნდა წავსულიყავი? ყველა კლუბის მადლობელი ვარ, მაგრამ მადრიდიდან წასვლას არ ვაპირებ.

— ასაკის მატებასთან ერთად ფეხბურთელს სისწრაფეც აკლდება-ხოლმე. ამის არ გეშინიათ?

— ჯერჯერობით პირიქითაა, რაც დრო გადის, ვგრძნობ, რომ უკეთესად ვთამაშობ. შარშან ვიწინასწარმეტყველე, რომ 30 ბურთს შევაგდებდი და ვერ შევძელი. საამსეზონოდ 35 ვთქვი და თქვენც ხედავთ, დანაპირების შესრულება შემიძლია.

— თქვენს მიზნებში ევროპის საუკეთესო მეგოლეობაც შედის?

— „რეალის“ დარ კლუბში, გამოგიტყდებით, მეგოლეობა ძალიან ადვილია — ბიჭები ყოველთვის შესანიშნავი პასებით მამარაგებენ და მეც სიტუაციათა მაქსიმალურად გამოყენებას ვცდილობ. ღმერთმა ქნას, სულ ასე გაგრძელდეს.

# პიპო პიაჩენცელი

## ინძაგის მომავალი შავ-წითელია

**ფილიპო ინძაგი** ფორმას იბრუნებს და ამბობს, რომ კარიერის დასრულება „მილანში“ სურს.

„გასული წელი ფანტასტიკური იყო. ჩემს კარიერაში ამგვარი აშკარად არაფერი ყოფილა. მსურს ამ კლუბის სახელით სულ უფრო და უფრო მეტი ჯილდო მოვიგო და კარიერაც შავ-წითელი მაისურით დავასრულო“ — თქვა თავდამსხმელმა.

„მილანის“ მოქმედმა, მანამდე კი „იუვენტუსის“ ფორვარდმა ეს სიტყვები მართლაც ახალი ჯილდოს მიღებისას თქვა. ეს გახლდათ „საუკეთესო ემილიელი ფეხბურთელის“ პრიზი. პიპო, ან თუ გნებავთ სუპერპიპო, დაბადებით პიაჩენცელია, პიაჩენცა კი ეაპოლის მხარის მთავარქალაქია.

„დიდ მადლობას ვუძღვნი პიაჩენცელებს, რომელთაც არ დავვიწყებივართ. არც მე დამვიწყებია ქალაქი, რომელმაც ფეხბურთელად და კაცად ჩამომაყალიბა“.

შემდეგ ინძაგიმ განაცხადა: „გოლის გატანა ყოველთვის საგანგებო სიამოვნებას მგვრიდა, მაგრამ ასაკთან ერთად მივხვდი, რომ მასზე უკეთესი განცდაც არსებობს და ეს მთელი გუნდის გამარჯვებაა“.

ახლა ზაფხულს კი ევროპის ჩემპიონატია.

„ნაკრების შემადგენლობაში ბევრი სასიამოვნო წუთი მაქვს გატარებული. განსაკუთრებით კარგად უელსთან შესრულებული ჰეთ თრიქი მახსოვს, ახლა კი ევრო 2004-ის მოგება მწადია“ — დააგვირგვინა ინძაგიმ.

**პაპუნა ძედია**



ემილიის საუკეთესო ფეხბურთელი ფილიპო ინძაგი ასე დააჯილდოვეს



უმბერტო ანიელის ყველაფრის თქმის უფლება აქვს



ანტონიო კონტე

# მოდი, მუზეუმში შევიხედოთ

## კონტემ ანიელის იღბალი დაუწუნა

*ანტონიო კონტე იმ გავრცელებული აზრის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომლის თანახმადაც „იუვენტუსი“ მიმდინარე სეზონში მხოლოდ იღბლის წყალობით აღწევს არცთუ ურიგო შედეგებს. შეგახსენებთ, რომ ტურინელები იტალიის ჩემპიონატში მესამე ადგილზე არიან და ზედიზედ მესამე სკუდეტოსთვის იბრძვიან, თასზე ფინალში გავიდნენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში ლა კორუნიაში „დეპორტივოსთან“ 0:1 წააგეს და სულაც არ არის გამორიცხული, ერთი კვირის შემდეგ მეოთხედფინალისტებად მოგვევლინონ*

„როგორც ჩანს, წინა სეზონებში ისე ვითამაშეთ, რომ ამ ჩემპიონატში ჩვენგან იმაზე გაცილებით მეტს ელოდნენ, ვიდრე ვთამაშობთ. მაგრამ გამუდმებით მოგება ყოვლად შეუძლებელია“ — განაცხადა ვეტერანმა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ იღბლის ამბავზე პირველად თავად „იუვენტუსის“ საპატიო პრეზიდენტმა, უმბერტო ანიელიმ გაამახვილა ყურადღება.

„ის კლუბის პატრონია, ასე რომ, რასაც უნდა, იმას იტყვის — განმარტა კონტემ — თანაც მისმა სიტყვებმა დამატებითი იმპულსიც მოგვცა, ოღონდ განცხადება იმისა, რომ „იუვენტუსი“ მხოლოდ იღბლის წყალობით იგებს, მეტისმეტად შორსაა სიმართლისგან“.

შეგახსენებთ, რომ კვირას „იუვემ“ შინ „ანკონას“ მართალია, 3:0 მოუგო, მაგრამ ამ აუტსაიდერსაც კი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში უპირატესობა ჰქონდა.

„იმ შეხვედრის მოსაგებად დიდძალი ოფლი ვღვარეთ, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ მისი შედეგი მხოლოდ დამთხვევებით და შემთხვევითობით იყო განპირობებული. თანაც, ფეხბურთში პატარა იღბალი აუცილებლად არის საჭირო, ოღონდ ნუ დავივიწყებთ, რომ მთავარი ძალისხმევაა — თქვა კონტემ — აგერ უკვე ათი წელიწადია მესმის, რომ „იუვენტუსის“ ერა დასრულდა და სეზონის ბოლოს ყველა ფეხბურთელი გაიყიდება, მაგრამ ყოველ წელიწადს ჩვენ სახელოებს ვიკაპიწებთ და მუზეუმში ახალი ჯილდო მიგვაქვს“.

**პაპუნა ძედია**

# შმცროსი მცველის უფროსი მოადგილე

## ელბერი მილანიდან დუნგამ დაიხსნა

*ფულის ამბავი ასეა: ჯოვანი ელბერი ჯერ „ბაიერნში“ თამაშობდა, როდესაც მისმა ცოლმა სინტიამ ქურაზე საჭმელი შემოსდო და სადღაც წავიდა, ქურის ამბავი კი დაავიწყდა. გაჩნდა ხანძარი, თან ისეთი, მეხანძრეებმა თითქმის ვერაფერი რომ გააწყეს. ერთი სიტყვით, თავდამსხმელმა სერიოზულად იზარალა, მაგრამ ამის გამო თავი არ მოუკლავს, „ფული ეშმაკს წაუღია, გაჭირვებაში ცხოვრება რა არის, ძალიან კარგად ვიცი. ის ფულიც ჩემი შრომით და წვალებით ვიშოვე, ასე რომ, ყოველი გროშის გამო ნამდვილად ვერ ვინერვიულებ. სხვისი რა მოგახსენოთ, და ჩემთვის ფული მთავარი არ არის“ — თქვა და საქმეს მიხედა*

| 5207 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 5208 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,85 | 1,75 |
| 5209 | ჰერტა-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5210 | მიუნხენი-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 5211 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 2,0 | 1,6 |
| 5212 | მოდენა-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 5213 | ბრეშა-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5214 | ანკონა-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 5215 | ბოლონია-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5216 | კიევო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5217 | ლეჩე-სიენა | 1,8 | 1,8 |
| 5218 | მილანი-სამპდორია | 1,8 | 1,8 |
| 5219 | უდინეზე-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 5220 | რომა-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 5221 | რასინგი-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | სელტა-ესპანიოლი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | ოსასუნა-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 5224 | ვალენსია-დეპორტივო | 1,75 | 1,85 |
| 5225 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 5226 | სარაგოსა-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5227 | ბარსელონა-მალიორკა | 1,95 | 1,65 |
| 5228 | ალბასეტე-ბეტისი | 1,75 | 1,85 |
| 5229 | სევილია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ატლეტიკო-მურსია | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5402 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1,75 | 2,1 |
| 5403 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1,7 | 2,2 |
| 5404 | კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი | 1,65 | 2,3 |
| 5405 | შალკე-ფრაიბურგი | 1,45 | 2,8 |
| 5406 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1,75 | 2,1 |
| 5407 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,0 | 1,8 |
| 5408 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,8 | 2,0 |
| 5409 | ჰერტა-ბოხუმი | 1,8 | 2,0 |
| 5410 | მიუნხენი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5411 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,4 | 3,0 |
| 5412 | მოდენა-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5413 | ბრეშა-იუვენტუსი | 2,2 | 1,7 |
| 5414 | ანკონა-რეჯინა | 2,0 | 1,8 |
| 5415 | ბოლონია-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 5416 | კიევო-ემპოლი | 1,55 | 2,5 |
| 5417 | ლეჩე-სიენა | 1,6 | 2,4 |
| 5418 | მილანი-სამპდორია | 1,2 | 4,0 |
| 5419 | უდინეზე-პერუჯა | 1,6 | 2,4 |
| 5420 | რომა-ინტერი | 1,6 | 2,4 |
| 5421 | რასინგი-რეალი | 2,4 | 1,6 |
| 5422 | სელტა-ესპანიოლი | 1,55 | 2,5 |
| 5423 | ოსასუნა-სოსიედადი | 1,75 | 2,1 |
| 5424 | ვალენსია-დეპორტივო | 1,7 | 2,2 |
| 5425 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,45 | 2,8 |
| 5426 | სარაგოსა-მალაგა | 1,75 | 2,1 |
| 5427 | ბარსელონა-მალიორკა | 1,2 | 4,0 |
| 5428 | ალბასეტე-ბეტისი | 1,9 | 1,9 |
| 5429 | სევილია-ვილიარეალი | 1,65 | 2,3 |
| 5430 | ატლეტიკო-მურსია | 1,2 | 4,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5302 | ბირმინგემი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5303 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5304 | კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 5305 | შალკე-ფრაიბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5306 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5307 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5308 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5309 | ჰერტა-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 5310 | მიუნხენი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5311 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5312 | მოდენა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5313 | ბრეშა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ანკონა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ბოლონია-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5316 | კიევო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5317 | ლეჩე-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5318 | მილანი-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5319 | უდინეზე-პერუჯა | 1,65 | 1,95 |
| 5320 | რომა-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | რასინგი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5322 | სელტა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5323 | ოსასუნა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5324 | ვალენსია-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5325 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | სარაგოსა-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5327 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ალბასეტე-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | სევილია-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ატლეტიკო-მურსია | 1,65 | 1,95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5502 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | შალკე-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ჰანზა-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ჰერტა-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მიუნხენი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | მოდენა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბრეშა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ანკონა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ბოლონია-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | კიევო-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ლეჩე-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | მილანი-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | უდინეზე-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | რომა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | რასინგი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | სელტა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ოსასუნა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ვალენსია-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | სარაგოსა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ბარსელონა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ალბასეტე-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | სევილია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ატლეტიკო-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5103 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5104 | კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5105 | შალკე-ფრაიბურგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5106 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5107 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5108 | ჰანზა-ჰამბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5109 | ჰერტა-ბოხუმი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5110 | მიუნხენი-ვერდერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5111 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5112 | მოდენა-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5113 | ბრეშა-იუვენტუსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5114 | ანკონა-რეჯინა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5115 | ბოლონია-ლაციო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5116 | კიევო-ემპოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5117 | ლეჩე-სიენა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5118 | მილანი-სამპდორია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5119 | უდინეზე-პერუჯა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | რომა-ინტერი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5121 | რასინგი-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5122 | სელტა-ესპანიოლი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5123 | ოსასუნა-სოსიედადი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5124 | ვალენსია-დეპორტივო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5125 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5126 | სარაგოსა-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5127 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5128 | ალბასეტე-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5129 | სევილია-ვილიარეალი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5130 | ატლეტიკო-მურსია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06.03 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |
| 06.03 21.00 | 6002 | იტალია A (XXIV) | 23 და ნაკლები – 1,9; | 25 და მეტი – 1,9 |
| 06.03 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVII) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.00 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVII) | 21 და ნაკლები – 1,9; | 23 და მეტი – 1,9 |
| 05.03 01.30 | 6005 | პორტუგალია სლ (XXV) | 22 და ნაკლები – 1,9; | 24 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.00 | 6006 | ჰოლანდია Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.30 | 6007 | ბელგია Iდ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**




*ავსტრალიის მსოფლიოს თასის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კლოდ სორელი თბილისს პირველად ამ ორი დღის წინ ეწვია, გუშინ კი „ლოკომოტივის" სტადიონზე ჟურნალისტებს შეხვდა, მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსანთა წარუმატებელ გამოსვლაზეც ისაუბრა და სამომავლო გეგმებსაც შეეხო. ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება არც სორელს მიუღია და არც საქართველოს რაგბის კავშირს, მაგრამ სორელი საქართველოში ერთი სურვილით ჩამოვიდა. თვალი ჩვენს შვიდკაცა ნაკრებზე უჭირავს და 15-16 წლის ბიჭებისგან ისეთი გუნდის დაყენებას ეშურება, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სერიოზული სიტყვის თქმას რომ შეძლებს. თუმც მანამდე ოლიმპიურ სახეობებში რაგბის ჩაწერა უნდა მოხდეს*

## კლოდ სორელი:

# მე ამ ბიჭებისგან გამოვიყვან...

## ძველი მწვრთნელი ახალ პროექტებს გვიჩვენებს

ამ ახალი პროექტის განხორციელებაზე რაგბის კავშირშიც სერიოზულად ფიქრობენ, მაგრამ ჯერ უცდიან, როდის მოხედავს სახელმწიფო რაგბისა. თუ მოხედა, ქართული რაგბის თავკაცები გულშემატკივარს უამრავ სიურპრიზს ჰპირდებიან.

პრესკონფერენციაზე, ცხადია, რუსეთთან მოახლოებულ თამაშზეც ითქვა. მორაგბეების სამზიდისსა და წინასარუსეთო განწყობასთან ერთად შეფმწვრთნელი მიხეილ ბურძგლა ახალი გუნდის შენებისთვის აუცილებელ და სამომავლოდ ჩაფიქრებულ სიახლეებსაც შეეხო.

გუშინდელი შეხვედრის მასპინძელთა განცხადებებს აქვე თითქმის სრული სახით გთავაზობთ:

### კლოდ სორელი

პირველ რიგში ავტსრალიური გამოსვლის შეფასებით დავიწყებ. როგორც სპეციალისტი, მსოფლიოს თასზე ნაჩვენები შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დავრჩი. ოთხივე თამაში წავაგეთ, მაგრამ ჩვენი უმთავრესი მიზანი მაინც შევასრულეთ, მსოფლიოს რაგბში გარკვეული იმიჯი შევიქმენით და ჩვენი ადგილი დავიკავეთ. ავსტრალიაში მოხვედრა წლების წინ ბევრს აბსურდად მიაჩნდა და ჩვენი სიტყვები სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა.

...მსოფლიოს თასის შემდეგ საქართველოს ნაკრების სათავეში დარჩენა სწორი არ იქნებოდა. სადღეისოდ არ გყავთ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც აქამდე მიღწეული შედეგის გაუმჯობესებას შეძლებენ. სანამ ვთვლიდით, რომ ქართული რაგბისთვის საჭირო ვიყავი და რაღაცის მიცემა შემეძლო, ასეც ვიქცეოდით. დღეს კი პრიორიტეტებს გადახედვა სჭირდება. აქცენტი ადგილობრივ კადრებზე და ახალგაზრდებზე უნდა გადავიტანოთ და შედეგს მალე დავინახავთ.

...ახლა ქართულ რაგბიში განვითარების მეორე ეტაპი იწყება. ყურადღება შიდა ჩემპიონატის რეორგანიზაციაზე უნდა გადაიტანოთ. ამავდროულად ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ მარტო თქვენს წვენშიც ვერ მოიხარშებით. დონის ასაწევად მეტი დაძაბულობა და პრაქტიკაა საჭირო. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივ ტურნირზე ადრეც გვიმუშავია. თუ ამ იდეას თავი მოება, მოგებულები დარჩებით.

...2012 წლის ოლიმპიადაზე შვიდკაცა რაგბიც უნდა შეიტანონ. ეს უკვე თითქმის გადაწყვეტილია. მასზე თავისი სიტყვა იმ ბიჭებმა უნდა თქვან, დღეს რომ 15-16 წლისანი არიან. მათ აღზრდაში და დიდი გუნდის გაკეთებაში მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ პროექტი ჯერ არ დამტკიცებულა.

...პორტუგალიასთან და ესპანეთთან ვერმოგებას კატასტროფად ნუ აღიქვამთ. ასეთი ჩავარდნა ყველგან ხდება. საგანგაშო არაფერია.

### ბიძინა გეგიძე

–კლოდის მიერ ნახსენები პროექტი რომ განხორციელდეს, პირველ რიგში რაგბის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება უნდა გამოსწორდე'ს. სასწაული ორჯერ არ ხდება და ეულად მუშაობით რაგბის კავშირი ამჯერად ვეღარაფერს გახდება. ნებისმიერი ამბიციური მიზნის განხორციელება შეგვიძლია, ოღონდ მხარი დაგვიჭირონ. ვსაუბრობთ უსერიოზულეს პროექტებზე, მაგრამ ყურადღებას ვერ ვგრძნობთ. რაოდენ ::ესიმისტური გამოსვლაც არ უნდა გამომივიდეს, ფაქტი ერთია, ისტორია მეორდება.

...მოხარული ვიქნები, თუკი გამოჩნდება სოლიდური ძალა, რომელსაც ექნება არგუმენტები, რომ რაგბის მიხედავს. სამწუხაროდ, დღეს კონკურენტუნარიანი ძალა არ ჩანს. ამბიცია კარგია, მაგრამ მის უკან პროფესიონალიზმი და საქმის ცოდნა უნდა იდგეს. ამ საქმეზე ფანატიკურად შეყვარებულ ხალხს ხელშეწყობა სჭირდება. წლების განმავლობაში ნაშენები ერთი ხელის მოსმით არ უნდა დავანგრიოთ.

— ვინ ანგრევს?

— ვერ გეტყვით, ვიღაც ანგრევს-მეთქი, მაგრამ ბუზი სპილოდ არ უნდა გადავიქციოთ. თუ რუსეთს ვერ მოვუგეთ, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ამ თამაშზე ბევრი გულშემატკივარი გვჭირდება. როცა გუნდს უჭირს, ყველაზე მეტად მაშინ უნდა მხარდაჭერა.

— ყველაზე მეტად რამ შეუწყო ხელი სორელის ნაკრებიდან წასვლას?

— სამწუხარო რეალობამ, რაგბისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებამ.

### ზაზა ქასაშვილი

სახელმწიფოს მიდგომით რომ საქმის სასიკეთოდ დაძვრა შეიძლება, ამის საუკეთესო მაგალითი უკრაინაა. ამ ქვეყანაში რაგბი აღმავლობის გზას ადგას. მომავალი წლიდან მათი ნაკრები ერთა თასზეც ითამაშებს. იქაურ კოლეგებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ერთი საინტერესო პროექტის განხორციელებაზეც ვმუშაობთ. ცნობილი ზე-12-ის სისტემის ტურნირის გამართვა შავი ზღვის აუზის ქვეყნებსაც გვინდა. ამის ორგანიზატორები ჩვენ ვართ და ახლო მომავალში ალბათ იდეას ხორციც შეესხმება. ეს სულაც არაა ერთადერთი პროექტი, რომელზეც ვმუშაობთ. კიდევ ბევრი სიურპრიზი იქნება, მთავარია, გვერდში დგომა ვიგრძნოთ.

### მიხეილ ბურძგლა

...რუსეთთან სათამაშოდ ტრადიციულად მცხეთაში ვემზადებით. ესპანეთის შემდეგ ნაკრებში ცვლილებებიცაა. უძლიერეს შემადგენლობას ვერც ამჯერად მოვუყარეთ თავი. ტრავმების გამო ბევრი მორაგბე გვაკლია, თუმცა არ მინდა, ეს პესიმიზმში ჩამითვალოთ. შაბათს დიდი ბრძოლა იქნება და მოედანზე მოსაგებად გავალთ. ტრავმა აწუხებს თედო ზიბზიბაძესაც. შეძლებს თამაშს თუ ვერა, ექიმები ხვალ გვეტყვიან.

...ახალი გუნდი კეთდება და პრობლემები გარდაუვალია. ისეთი ხელის შემშლელი ფაქტორები, როგორებიცაა ფსიქოლოგიური განწყობა, ლეგიონერებისა და აქაურების შეუთამაშებლობა და ტექნიკური წუნი ნელ-ნელა გამოსწორდება. ახალწვეულები საკმაოდ ნიჭიერები არიან და გამოუცდელობას მალევე დაძლევენ.

...ბრძოლისუნარიანი გუნდის შესაქმნელად ერთიანი სანაკრებო პოლიტიკა უნდა შევქმნათ. შევხვდებით კლუბებისა და სხვადასხვა ასაკის ნაკრებთა მწვრთნელებს და ყველა ნაკლს დაწვრილებით გავაანალიზებთ. ეროვნული გუნდისთვის საჭირო გადაწყვეტილებებსაც ერთობლივად მივიღებთ.

...რუსეთი-ესპანეთის მატჩის ვიდეოჩანაწერი გუშინ ვნახეთ და მეტოქის თამაშს ერთხელაც დავაკვირდით. ტაქტიკური თვალსაზრისით მათგან სიურპრიზებს არ ველით. მთავარია, ბიჭებმა დავალებებს კარგად გაართვან თავი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# რუსი «დათვები» თავდაჯერებით შემოგვიტევენ

*სარაგბო თემისთვის პალიკო ჯიმშელაძე კარგად ნაცნობია, არა მხოლოდ როგორც მორაგბე, არამედ როგორც კლოდ სორელის ერთ-ერთი ფავორიტი. პალიკო ადრეც არ ბურთაობდა ურიგოდ, თუმცა კლოდმა იგი თავისი პრინციპებით აღზარდა და ძირითად შემადგენლობაშიც უცვლელი ადგილი არგუნა. სორელი ნაკრებიდან წავიდა და ახალმა მწვრთნელებმა საფრანგეთიდან კვლავ გამოიძახეს ჯიმშელაძე ბორჯღალოსანთა რიგებში, თუმცა მან პორტუგალიასთან და ესპანეთთან თამაშები გამოტოვა*

**— რატომ ვერ ითამაშე ამ ორი გუნდის წინაალმდეგ?**

— მუხლის ტრავმა მქონდა და ამიტომ ვერ ჩამოვედი. საკმაოდ ვინერვიულე, რადგან ძალიან მინდოდა ახალი დროშის ქვეშ პირველი თამაშის გამართვა.

**— როგორ ფიქრობ, ახალმა მწვრთნელებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს?**

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ინდივიდუალურ ტექნიკაზეც ბევრს ვშრომობთ, ასე რომ, არაფერია სანერვიულო. რაც მთავარია, მწვრთნელები ძალზედ მოწადინებულები არიან და ვფიქრობ, გაამართლებენ.

**— ცოტა ბევრი ხომ არ არის ნაკრებისთვის სამი მწვრთნელი?**

— თითოეულს თავისი ფუნქცია აქვს, ერთი შერკინებას ავარჯიშებს, მეორე ხაზს, მესამე დერეფანს... ასე რომ, ესეც საჭიროა.

**— პორტუგალიასთან ნაკრებმა ძალისმიერი რაგბი ითამაშა და წავაგეთ. მოგწონს ასეთი ტაქტიკა?**

— ძალისმიერი რაგბი შერკინების სტილია. არა მგონია, რომ ხაზის მოთამაშეებსაც ასევე თამაში დაგვჭირდეს.

**— რუსეთთან რამდენიმე დღეში მატჩი გვაქვს, გაგვიჭირდება?**

— მათთან თამაში ყოველთვის ძალიან გვიჭირს, ახლა უფრო მეტად დაძაბული მატჩი იქნება, რადგან ერთი თამაში წავაგეთ, ერთი მოსაგები კი ფრედ დავასრულეთ. ისინი კი უფრო იმედიანად და თავდაჯერებულად ჩამოვლენ.

**— რითი გვჯობიან რუსი „დათვები"?**

— ფიზმომზადებით. მანქანებივით დაპროგრამებულები არიან. რაც შეეხება ტექნიკურად, ჩვენს ნაკრებს ამ მხრივ უპირატესობა აქვს. ჭკუით და ტექნიკით უნდა ვაჯობოთ, რადგან მათ ძალისმიერი რაგბი მეტად ეხერხებათ.

**— ახლა კლოდზეც ვისაუბროთ. კარგია თუ ცუდი ის, რომ ნაკრებში აღარ არის?**

— კლოდთან დაკავშირებით მე პრობლემა არ მქონია, თუმცა ალბათ არსებობს ყველაფრის მაქსიმუმი. ხომ გაგიგიათ, თავს ზევით ძალა აღარ არის. მან უდაოდ ევოლუცია მოხდინა ქართულ რაგბიში, რადგან მანამდე ლუქსემბურგის, დანიის დონეზე ვთამაშობდით. სორელმა კი გუნდი გამართა და შეცვალა ტაქტიკა. სწორედ მისი დამსახურებაა მსოფლიოზეც რომ მოვხვდით და ერთა თასიც რომ მოვიგეთ.

**— ამბობენ, კლოდის ფავორიტი იყავი...**

— სორელი რომ დანიშნეს, მე 12 ნომერზე ვთამაშობდი, მაგრამ კლოდმა მოიწადინა და 10-ზე გამზარდა და ვფიქრობ, არც მე დავაღალატე იგი.

**ნინო ლეჟავა**



რუსებთან ომის ვეტერანი პალიკო ჯიმშელაძე საბრძოლო მზადყოფნაშია

# საქართველოს თასი. მეორე ეტაპი. ბათუმი 1-3 მარტი

3 მარტი. ბათუმი

**სტუ 93:68 რუსთავი**

27:16 17:19 29:11 20:22

სტუ: ნიკოლაძე (10), დავითულიანი (7), მარკოიშვილი (7), შანიძე (17), ახალკაცი (3); მიქაძე (17), ხეცურიანი (12), გაგნიძე (8), ბაბიაშვილი (6), ქისტაური (4), ჯაფარიძე (2)
რუსთავი: არწივიძე (8), ჯიმშელეიშვილი (18), ჩაჩუა, დანელიანი (12), ტყეშელაშვილი (13); ჭოჭუა (10), გოგსაძე (4), ლიპარტელიანი (3), ტაველიშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 73:62 ბასკო**

20:14 25:14 14:16 14:18

დინამო: ჟღენტი (10), ხოშტარია (19), გოგობერიშვილი (16), კეიდია (4), მუშკუდიანი (6); ჩუბინიძე (6), ლოსაბერიძე (5), აბულაძე (4), ბეჟანიშვილი (3)
ბასკო: ბ. ბერიშვილი (2), კეშელავა (11), ტუჯანი (4), იმნაძე (3), ბერძენიშვილი (13); ი. ბერიშვილი (14), დ. ბერიშვილი (10), როდუმტა (4), მაისურაძე (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ გელოვანი

# ბასკომ თასი დაკარგა
## უბრაიკოვიჩო დინამომ თავი იპოვა



მურაზ [illegible] ფოტო

ლაშა კეშელავას „ბასკომ" ირაკლი ხოშტარია (ბურთით) და მისი „დინამო" ვერ დაყავა

**ირაკლი პერტაია** *ბათუმიდან*

დედის დღეს ისეთი ამბები ხდებოდა ბათუმის სპორტის სასახლეში, დედა-შვილს არ აიყვანდა. თუ სტუ — „რუსთავის" მატჩზე ტრიბუნებს ალაგ-ალაგ ეტყობოდა ხალხი, „ბასკოსა" და „დინამოს" შეტაკების ხილვის მოსურნენი დარბაზმა ძლივს დაიტია. ამდენ ხალხს დიდი სიამოვნებით ინატრებდნენ საზოგადოება „ჩვენი აჭარის", ანაც „კმარას" აქტივისტები თავის მიტინგზე, თუმც გუშინ რა აქციაც არ უნდა გამართულიყო ბათუმში, ვეჭვობთ „ბასკო" — „დინამოს" დაპირისპირებას ქომაგი მოჰკლებოდა.

დაინტერესება იმდენად დიდი იყო, რომ რაგინდა ჩინოსნებთან ერთად მატჩის სანახავად მოვიდა აჭარის მეთაურის იტალიელი სიძე მარკო კანისტრალე, რომელიც ფეხბურთის დიდი ქომაგია და ერთხანს ბათუმის „დინამოსაც" პრეზიდენტობდა. მოკლედ, „დინამოს" გოლის წყურვილით ყელგამშრალი ხალხის სიჭარბე თვალშისაცემი იყო და მათ უმრავლესობას არ აინტერესებდა სატურნირო ვითარება, ბათუმელებს უბრალოდ სურდათ, ერთხელაც ენახათ დამარცხებული ჩემპიონი.

სატურნირო ვითარება კი მასპინძელთათვის სავალალო იყო. ბათუმელებს მინიმუმ 28-ქულიანი გამარჯვება სჭირდებოდათ თასის ფინალის საგზურის მოსაპოვებლად, რაც წარმოუდგენელი არ გახლდათ, მაგრამ გასკეთებლად კაი გმირობის ტოლფასი იყო.

ტყუილს ვერ ვიტყვით, რომ „ბასკოს" მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი იქადნებოდა, არიქა, ფინალის საგზურს უნდა დავეპატრონოთო, მაგრამ თავისი წილი ოპტიმიზმი ბათუმელთა თავკაცს ნამდვილად გააჩნდა. კანდელაკი, ასე ვთქვათ, ვაბანკზე წავიდა და დინამოელთა დასაბნევად სრულიად განსხვავებული ტაქტიკა აირჩია.

თუ ბათუმელთა მწვრთნელის ჩანაფიქრი გაამართლებდა, ხომ კარგი, არადა ფინალსმილმა დარჩენისთვის ბასკოელებს ვერავინ დასძრახავდა.

კანდელაკის სიურპრიზი ის გახლდათ, რომ ბათუმელებმა თამაში სამი გამოკვეთილი მეფარით დავით ბერძენიშვილით, ჟოლივეტ ტუჯანითა და დავით იმნაძით დაიწყეს. ამათ პლუს ფრთა ლაშა კეშელავა და „ბასკო" ფაქტობრივად უკანახაზელთა გარეშე დარჩა. გამთამაშებლად ბუბა ბერიშვილი მოგვევლინა, რომელიც ნომინალურად არ ითვლება ამ პოზიციის კალათბურთელად.

კანდელაკის ეს ჩანაფიქრი იმ შემთხვევაში გაამართლებდა, თუ „დინამოს" უკანახაზელთა შეკავებას მოახერხებდნენ ბასკოელი დაბლები, რაკი ფარქვეშა მებატონის ვინაობა ბათუმელ ახმახთა შემხედვარე იმთავითვე ცნობილი იყო. არადა, დავით უსტიაშვილს სულ ფეხმარდი და გამოცდილი ბიჭები შეერჩია უკანა ხაზში. არჩილ ჟღენტის, ირაკლი ხოშტარიასა და რამაზ გოგობერიშვილის შეჩერება დაბალანსებული ხუთეულითაა ძნელი და ბასკოელებს ასეთი ტანმაღალი და შესაბამისად მძიმე შემადგენლობით ცხადია, გაუჭირდათ ამის გაკეთება.

პირველივე მეოთხედში გამოჩნდა, რომ ბათუმელთა ასეთმა ტაქტიკამ არ გაამართლა, „დინამოს" დაბლებმა მოახერხეს „ბასკოს" სამწამიანის გაბილიკება და პერიმეტრიდანაც ხშირ-ხშირად იხვეჭდნენ ქულებს. ნუგზარ კანდელაკს ბრმად არ მიუმართავს ამ ექსპერიმენტისთვის, ის სწორედ ასეთი ტაქტიკით ეთამაშა „დინამოს" რუსთავში, თასის პირველ ეტაპზე და პირველ ტაიმში გვარიანადაც შეავიწროვა. მაშინ „ბასკომ" კიდევ უფრო მაღალი ხუთეულით ითამაშა და დაბნეულ დინამოელებს პირველი ტაიმიც მოუგო, თუმც როცა „ჩვეული" შემადგენლობა დააბრუნა, ის თამაში წააგო.

გუშინდელი მატჩის პირველი მეოთხედი „ბასკომ" 6 ქულით წააგო და კანდელაკმა მოედანზე დაბლებს უხმო. ფარქვეშ ძალა რომ მოაკლდა. „ბასკომ" შორი სროლებით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ წინა დღეს „რუსთავთან" 7 სამქულიანის ჩამოგლეჯელმა ლაშა კეშელავამ მიზანი ვერ გაისწორა. რას გაისწორებდა, ხოშტარია, ჟღენტი, გოგობერიშვილი და თანაგუნდელები მათნი ისეთი მონდომებულები იყვნენ, პერიმეტრზე ვერა ბათუმელი გაილაღებდა.

„დინამო" ისეთი მონდომებით იბრძოდა, თითქოს ეს ყოფილიყოს მისი ყოფნა-არყოფნის მატჩი. გუშინდელი შეხვედრის შემხედვარე, ნათელი გახდა, თუ რისთვის ჩამოვიდა „დინამო" ბათუმს. უბრაიკოვიჩო ბრაიკოვიჩელებს „ბასკოს" ჟინი ჰკლავდათ და წინა დღეს სტუსთან სწორედაც რომ დაზოგეს ძალა, რადგან ასეთი ანთებული სახე ტექნიკოსებთან მატჩში არც ერთ დინამოელს არ ჰქონია.

მატჩს მივუბრუნდეთ, თუმც მისაბრუნებელიც არაფერია, რადგან „დინამომ" რომ პირველი მეოთხედის მიწურულს ლიდერობა მოიპოვა, მერე და მერე უპირატესობას უფრო ზრდიდა. თბილისელთაგან ქების ღირსია ირაკლი ხოშტარია, რომელმაც, რაც ამას წინათ ტრავმა მოიშუშა, ასე ხვავიანად არ უთამაშია. რამაზ გოგობერიშვილმა კი სამქულიანებით აიკლო ბათუმელები და მეტოქისთვის მიახლოების საშუალება არ მიუცია.

პირველი ტაიმის ბოლოს თბილისელთა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და კანდელაკმა ასი შეცვლა გააკეთა, მაგრამ თამაში მაინც ვერ იპოვა. „ბასკოს" თითოეულ ქულას ბათუმელი ქომაგის მქუხარე ოვაცია ახლდა, მაგრამ მთელ აჭარასაც, რომ ეღრიალა, ბათუმელები მაინც ვერაფერს მოუხერხებდნენ იმ დღეს გამართულად მოთამაშე დინამოელებს.

მატჩი ისე მიილია, ბათუმელებმა ჩამორჩენა 10-ქულამდე ვერ მოჭრეს და დინამოელთა სიხარული უნდა გენახათ საფინალო სირენის შემდეგ. რაც „ბასკოსთან" ბოლო სამ მატჩში ვერ შეძლო დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, ის პირველივე ცდაზე მოახერხა ახალგაზრდა დავით უსტიაშვილმა — „ბასკო" შინ დაამარცხა და თასის გათამაშებას მისი შარშანდელი მფლობელი გამოათხოვა...

მაშ ასე, 27 მარტს თბილისში საქართველოს თასის ფინალში „დინამო", „სტუ„-ჯეოსელს" შეერკინება.

## რეგულარული ჩემპიონატი

2 მარტი

**დენვერი 91:95 ნიუ ჯერსი**
დენვერი: მილერი (14), ლენარდი (15), ენტონი (26), ნენე (13), ელსონი (4); ბოიკინსი (10), დოლიკი (8), ბერი (1), ანდერსენი, ვაიტი
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*
ნიუ ჯერსი: ჰარისი (8), კიტლზი (34), ჯეფერსონი (11), მარტინი (22), კოლინზი (4); არმსტრონგი (6), კალაბრინი (6), უილიამსი (4), პლანინიჩი, როჯერსი

**ატლანტა 94:93 ლეიკერსი**
ატლანტა: ტერი (23), ჯეკსონი (17)
ლეიკერსი: პეიტონი (23 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), ონილი (23)

**საკრამენტო 113:106 კლიპერსი**
საკრამენტო: ვებერი (26)
კლიპერსი: მეჯიტი (32), ბრენდი (25)

**გოლდენ სტეიტი 88:96 ინდიანა**
გოლდენ სტეიტი: დანლივი (24)
ინდიანა: მილერი (21)

**დალასი 107:96 სიეტლი**
დალასი: ფინლი (35), ჯემისონი (21)
სიეტლი: ალენი (25)

**მაიამი 86:89 ტორონტო**
მაიამი: ოდომი (23 ქულა, 14 მოხსნა)
ტორონტო: კარტერი (27), მარშალი (24)



# ფედერერს საფინი დაუმძიმდა

**THE DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS**
ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:4); **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — გილერმო კორია (2, არგენტინა) 4:6, 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 6:3, 6:4; **სხენგ შალკენი** (8, ჰოლანდია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:1; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 7:6 (8:6); **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:7 (7:9), 6:4

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ კორტზე მობრუნებულ როჯერ ფედერერს წილისყრამ უმალ მარატ საფინი დაახვედრა. ზორბა რუსი საბერტყი მსხალი არასოდეს ყოფილა, ხოლო ამქრის პირველოსანს მასთან ჭიდაობა კიდევ იმის გამოც უნდა გართულებოდა, რომ ავსტრალიის ღია პირველობის წლევანდელ ფინალში მას მძიმე და დამაჯერებელი მარცხი აგემა.

მატჩი მართლაც დაძაბული და უშელავათო გამოდგა და — აქვე წარმოდგენილ ანგარიშზეც დაატყობდით — ყველაფერი მხოლოდ ტაიბრეიკებში გადაწყდა. მელბურნული ფინალისგან განსხვავებით, რომელსაც საფინი ფედერერზე უფრო დახარჯული და ნაშრომი შეხვდა, ამ შეხლაში რუსი გოლიათი არც უილაჯობას უჩიოდა და არც არაფერს. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში შვეიცარიელი მაინც უფრო ნატიფად ირჯებოდა და საფინსაც იღბალმა უგანა.

სხვაფრივ — წინა დღეს გავარდნილ განთესილებს, შუტლერს, ფილიპუსისსა და ჰენმანს გილერმო კორია (2) და დავიდ ნალბანდიანიც (4) მიჰყვნენ. პირველს რუსი მიხაილ იუჟნი გაუსწორდა (და ამით ჯავრი იყარა მისგან შარშან ნაწვნევი სამი უმძიმესი მარცხის გამო), ხოლო მეორეს — იარკო ნიემინენი (რომელმაც შარშან მასთან ორი შეხვედრა წააგო).

**მეხსიკის ღია პირველობა**
აკაპულკო
საპრიზო 652 ათასი $

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:3; **მარიანო საბალეტა** (4, არგენტინა) — ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) 6:7 (4:7), 6:2, 6:3; **ფელიქს მანტია** (5, ესპანეთი) — ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:4); **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:1), 6:1; **გალო ბლანკო** (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 5:7, 6:4, 7:5; **გილერმო კანიასი** (არგენტინა) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:3), 7:5

აკაპულკოში ჯიშად მოთიხნარე რომანულენოვნები შეკრებილან და თამადად ტურნირის 2002 წლის ჩემპიონი კარლოს მოია შეურჩევიათ. თამადამ, ვინაც წლეულს ჩენაური, სიდნეური და ბუენოსაირესული ფინალების შემდეგ უკვე მეოთხე ფინალს ეშურება (თუმცა მოგებით მხოლოდ ჩენაიში იმარჯვა), იოლად აჯობა თვისტომ სანჩესს და მეოთხედფინალში გასასვლელად ყრმა ფრანგ რიშარ გასკეს შეებმება. მომდევნო წრისკენ გაივაკა შარშანდელ ფინალში აგუსტინ კალიერისგან ძლეულმა მარიანო საბალეტამაც. მას ეკვადორელ ლაპენტისთან წაგებული სეტის შემდეგ ორის უკუგება მოუხდა.

**ლევან ძელაურაძე**

# მარადი შეკითხვა: სად ვიშოვოთ ფული?

## სტოდარტი ადგილებს ყიდის

მსოფლიოს 55-ე ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარდგენას ტრადიციულად ვამთავრებთ ტრადიციულ მაჩანჩალა „მინარდით“. იტალიელ ბიზნესმენ ჯანკარლო მინარდის პირმშო ყველაზე წყალწაღებული საფორმულო საჯინიბოა. ბოლო ათწლეულში „პატარა სკუდერია“ სატურნირო ცხრილში მხოლოდ უკანასკნელ ან მის წინა ადგილზე იმყოფება, ქულებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს.

ეს უბადრუკი „შედეგიანობა“ პირველ რიგში ქრონიკული ფულნაკლებობის ბრალია. მართალია, სამი წლის წინ გუნდი მთელი მისი ავლადიდებით მინარდისგან ავსტრალიელმა ავიამაგნატმა პოლ სტოდარტმა შეიძინა და თითქოს ფინანსური კეთილდღეობის დროც დადგა, მაგრამ მარტო მილიარდელმა ბოსმა ვერ შეძლო ბიზნესის ჭაობიდან ამოთრევა.

უკვე ზედიზედ მეოთხე სეზონია, გუნდში ორივე ადგილზე ახალი პილოტები მოდიან, თითქოს ეს იყოს ჩაფლავების ერთადერთი მიზეზი. მთავარი ისაა, რომ უმწირეს, ბობოლა საჯინიბოებზე თითქმის ათჯერ ნაკლები ბიუჯეტით სტოდარტი ვარსკვლავებს ვერ შეიძენს და ნაყარნუყარით უნდა დაკმაყოფილდეს. წლევანდელი ბოლიდებიც ახალბედებს მისცეს, უფრო ზუსტად, მიჰყიდეს. როგორც წესი, დამწყები, უსახელო მრბოლები ხომ თავად იხდიან გუნდში ადგილის საფასურს. ჯანმარია ბრუნის ამ მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს, ზოლტ ბაუმგარტნერს კი გვარიანი პრობლემები შეექნა.

საქმე შემდეგშია: ზოლტანმა შარშან „ჯორდანის“ კოკპიტში ორჯერ შეცვალა ნაავარიები რალფ ფირმენი. გაჩნდა იმედი, რომ ედი ჯორდანი მასთან თანამშრომლობას გააგრძელებდა. მრბოლის სპონსორმა, უნგრეთის უმსხვილესმა ნავთობკომპანიამ საამისოდ აუცილებელი თანხის გადახდაც ივალდებულა, მაგრამ რაკი ბოლოს აღმოჩნდა, რომ მის პროტეჟეს ბევრად სუსტ „მინარდისთვის“ უნდა ერბოლა, სიტყვა უკან წაიღო. საბედნიეროდ, ნიჭიერ მძღოლს დახმარების ხელი სხვებმა გაუწოდეს და პირველი უნგრელი მეფორმულე კვირას მელბურნში, „ალბერტ პარკის“ ტრეკზე გაიჯირითებს.

ახალი მანქანის პრეზენტაცია შარშანდელივით ჩემპიონატის გახსნის წინ ავსტრალიაში მოეწყო ზარ-ზეიმის გარეშე, რადგან საამისოდ არც ფულია და არც ხალისი. „მინარდი PS04B“, რომელიც ორი წლის წინ გაკოტრებულ „ეროუსისგან“ ნაყიდი ბოლიდების ბაზაზეა შექმნილი, წინამორბედზე თითქმის ორი წამით სწრაფი იყო სატესტო გამოცდისას და ამდენად, უფროსობასაც წარმატების იმედი ჩაუსახა. თუმც გვეეჭვება, ამგვარმა ალიანსმა სახეირო შედეგი მოიტანოს.

**გია ახალაძე**

### მინარდი

გუნდი ჯანკარლო მინარდიმ დააარსა 1972 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1985 წლიდან
303 რბოლა; 30 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — მეშვიდე ადგილი (1991)
2003 წელს — მეათე ადგილი (0 ქულა)
პრეზიდენტი **პოლ სტოდარტი** (ავსტრალია)
მმართველი დირექტორი **ჯანკარლო მინარდი** (იტალია)
ტექნიკური დირექტორი **გაბრიელე ტრედოცი** (იტალია)
ბოლიდი **„მინარდი PS04B“**
ძრავა **„ფორდ კოსუორტ CR4“** (V10)
საბურავები **„ბრიჯსტოუნი“**
ტესტ-პილოტები **ბას ლეინდერსი** (ბელგია) და **ტიაგუ მონტეირუ** (პორტუგალია)



**ზოლტ ბაუმგარტნერი**

**უნგრეთი**

დაიბადა 1981 წლის 1 იანვარს ბუდაპეშტში
ცხოვრობს ბუდაპეშტში
უცოლო
სიმაღლე 178 სმ; წონა 74 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: უნგრეთის დიდი პრიზი (2003)
2 რბოლა; 0 ქულა
2001-03 წლებში ასპარეზობდა ფ 3000-ის მსოფლიოს ჩემპიონატში
საუკეთესო შედეგი — XIV ადგილი (6 ქულა, 2003)



**ჯანმარია ბრუნი**

**იტალია**

დაიბადა 1981 წლის 30 მაისს რომში
ცხოვრობს რომში
უცოლო
სიმაღლე 182 სმ; წონა 79კგ
ფორმულა 1-ის დებიუტანტი
2002-03 წლებში ასპარეზობდა ფორმულა 3000-ის ევროსერიაში
საუკეთესო შედეგი — III ადგილი (30 ქულა, 2003)





## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი – 5 მარტი

**XI ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0:1
ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
გარი კასპაროვმა (რუსეთი) ისვენა

მარტის ამინდივით იცვლებიან ტოტალიზატორთა ფავორიტები ლინარესის სუპერტურნირზე. გათამაშების დასაწყისში ბუკმეკერები გამარჯვებას კასპაროვს უწინასწარმეტყველებდნენ, შემდეგ ლეკოს მიანიჭეს უპირატესობა, ახლა კი კრამნიკს აუწიეს შანსი და დაუწიეს ფსონი

# უნგრელი დედოფალი მტრებს გაეთამაშა და მეფეც დაკარგა

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, ყველასთვის მოულოდნელად, თეთრი ფიგურებით მოთამაშე უნგრელს სძლია და ქულით გადაუსწრო მთავარ კონკურენტებს. შედეგი მოულოდნელი იმით იყო, რომ ორივე დიდოსტატი ორი წლის წინ ფიდემ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩისთვის დააწყვილა. მას შემდეგ კი ერთმანეთში მუდმივად ყაიმს თამაშობენ და სალინარესო მეორე ჯახშიც სპეციალისტთა უმრავლესობა მორიგ ზავს ელოდა. თუმც, როგორც ჩანს, XI ტურში ორივე მოჭადრაკეს უკვე საკმაოდ ჰქონდა ყელში ამოსული ეს გაუთავებელი მოჩვენებითი მშვიდობიანი თამაშები და კაცურად შეებნენ ერთმანეთს.

მეტოქეებმა პარტია სწრაფად დაიწყეს დასაწყის ნახევარ საათში 18-18 სვლის გაკეთება მოასწრეს. ლეკომ წინ ლაზიერი გამოიყვანა, რომელიც ცენტრში ყოჩაღად დატრიალდა და მეტოქე მეფის ფლანგისკენ დაიძრა. მოწინააღმდეგეს არც რუსი ჩამორჩა და პაიკები თეთრი ხელმწიფის მიმართულებით გაუშვა. დაფაზე თეორიული ბრძოლა დაიწყო, სადაც უნგრელმა იძალა, ხარისხით დაწინაურდა და მთავარი არტილერია წინა ფრონტზე გაუშვა. კრამნიკის მეფე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ამ დროს მისმა მცველებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს და საკუთარი სიცოცხლის ფასად თავდამსხმელთა მოზღვავებული ურდო მთავარსარდალთან არ მიუშვეს. ლეკომ დამხმარე ძალას უხმო და ისე გაერთო შავებთან ბრძოლით, რომ საკუთარი მეფე სულ გადაავიწყდა, ეს კი „ვერაგმა“ რუსმა მალე შენიშნა, 34-ე სვლაზე საკუთარი დედოფალი მარტოდ დარჩენილ თეთრ მეფესთან აფრინა და ორიოდ სვლაში სამარცხვინო შამათიც ჩაუსვა.

ორივე მოჭადრაკე წლეულს კიდევ რამდენიმე ტურნირზე შეხვდება ერთმანეთს, თუმც მთავარი შეხლა მაინც შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში ექნებათ და რა ბიჭები არიან, იქ გამოჩნდება.

რაჯაბოვ-ტოპალოვის წყვილმა კატალონიური პარტია გაითამაშა. ახალგაზრდა აზერბაიჯანელს დასაწყისშივე აუჩქროლდა სისხლი და შეტევის გასავითარებლად ფიგურა უფეშქაშა მეტოქეს, თუმც მიზნის მისაღწევად ამ მსხვერპლს არ დასჯერდა, შესაწირი კიდევ გაიღო და იერიშს სიმწვავე შესძინა. ფიგურების ასე გულუხვად გაჩუქების შედეგად კი რაჯაბოვის არმია უმცირესობაში აღმოჩნდა, ტოპალოვის გამაგრებულ დაცვის კედელს ვერაფერი მოუხერხა და ყაიმს დაჯაბულდა.

მასპინძელთა პარტიაში უპირატესობა შიროვის მხარეს იყო, თუმც 51-ე სვლაზე ცაიტნოტში აღმოჩნდა და მეტოქე ზავზე დაითანხმა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 6 ქულა/10 თამაში |
| 2 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 5/9 |
| 3 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 5/9 |
| 4 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 4,5/9 |
| 5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 4,5/10 |
| 6 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 4/9 |
| 7 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 4/10 |



## რეგულარული ჩემპიონატი

23 მარტი

**რეინჯერსი 3:4 ატლანტა**
*2:2 0:1 1:1*
0:1 ჰიტლი (7), 0:2 კოვალჩუკი (9), 1:2 მესიე (10), 2:2 საიმონი (18), 2:3 ჩერნკვისტი (33), 2:4 რობიტაილი (50), 3:4 ლაკუტიური (51)

**პიტსბურგი 3:3 აილენდერსი**
*1:2 1:1 1:0 0:0*
0:1 ბლეიკი (2), 0:2 რონინგი (9), 1:2 ფატა (18), 1:3 პერიში (30), 2:3 კოსტოპულოსი (38), 3:3 ბერჟევენი (42),

**ვაშინგტონი 0:1 ფლორიდა**
*0:1 0:0 0:0*
0:1 იოკინენი (17)

**კაროლინა 0:3 კოლუმბუსი**
*0:2 0:1 0:0*
0:1 რ. ნეში (2), 0:2 ლუტოვსკი (19), 0:3 მალოტრა (58)

**სენტ ლუისი 2:4 კალგარი**
*1:0 0:0 1:4*
1:0 მელანბი (3), 1:1 რაინპრეხტი (41), 1:2 იგინლა (42), 2:2 დემიტრა (55), 2:3 იგინლა (57), 2:4 რაინპრეხტი (60)

**ედმონტონი 5:4 ფინიქსი**
*2:1 1:2 1:1 1:0*
0:1 სილინჯერი (2), 1:1 ლარაქი (11), 2:1 ჯ. სმიტი (13), 3:1 რ. სმიტი (21), 3:2 ტ. ნეში (33), 3:3 გრეტონი (39), 4:3 სტეიოსი (42), 4:4 ლენგკოუ (59), 5:4 რ. სმიტი (63)

**ტორონტო 3:2 ბოსტონი**
*1:0 1:0 1:2*
1:0 სუნდინი (3), 2:0 პონიკაროვსკი (30), 2:1 ლაპოინტი (41), 2:2 ტორნტონი (46), 3:2 სუნდინი (54)

# ვარჯიში და ვარჯიში

ეს პეკინის აკრობატთა სკოლაა, ჩინეთში (და მსოფლიოშიც) უდიდესი. ამ სკოლაში ასწავლიან საცირკო ხელოვნებას, ცეკვას და, რა თქმა უნდა, აკრობატიკას. ჩინელთა აკრობატობა ცნობილია: ბარე 2 500 წელიწადია, აქ ეს ხელოვნება არსებობს. რუმინელ ქალაქ დევაში კი ტანმოვარჯიშეთა სკოლაში გოგო თავის ჯანს უჩვენებს ტანვარჯიშის ნაკრების მწვრთნელ ოქტავიან ბელუს. რუმინეთში უამრავი პატარა გოგო ეტანება ტანვარჯიშს — ყველა ოცნებობს, რომ დიად ნადია კომანეჩის მიღწევანი გაიმეოროს.



REUTERS ბუქარესტიდან



REUTERS პეკინიდან

# ხუანის ცოლი

ამ უქმეებზე მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზით გაიხსნება მეფორმულეთა სეზონი. „უილიამსის" კოლუმბიელს, ხუან პაბლო მონტოიას კი ისე უყვარს თავისი ცოლი კონი, რომ ტრეკის კიდეზეც კი იმის მოალერსებას ეშურება.



REUTERS მელბურნიდან

# პირწმინდად ჰისპანიკური

ასოციაციის (ვბა) მძიმე წონის ჩემპიონად აღიარებული ჯონ რუისი (მარცხნივ) პრეტენდენტ ფრეს ოკენდოს ეზომება. ესენი „მედისონ სკვერ გარდენში" იკრივებენ 17 აპრილს, რათა ამ საჩემპიონო ქამრის ბედი გაარკვიონ. რუისი მძიმე წონის პირველი პუერტორიკოელი ჩემპიონია კრივის ისტორიაში და კრივის ისტორიაშივე ასევე პირველად ხდება, რომ მძიმე წონის საჩემპიონო ბრძოლა პირწმინდად პუერტორიკოელთაა — ოკენდოც იქაური გახლავთ.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# კოპაკაბანაზე

რიოში, კოპაკაბანაზე გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში. ესპანელი რამირო ამარელე მგრატელათი უტანს არგენტინელებს, ესპანეთი კი არგენტინას 6:2-ს უგებს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ომარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV. სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge